


F 25435
3



საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის და
ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი
Научный исследовательский институт курортологии и
физиотерапии Минздрава Грузинской ССР

R

F 25.435
3



ინსტიტუტის საიუბილეო სამეცნიერო
სესიის მოხსენებების

თეზისები

22—23 მაისი 1961 წელი


Тезисы докладов

юбилейной научной сессии института

22—23 мая 1961 г.

თბილისი 1961 წელი
Тбилиси 1961 год.

საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის და
ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი
Научный исследовательский институт курортологии и
физиотерапии Минздрава Грузинской ССР



ინსტიტუტის საიუბილეო საგმაცნიერო
სესიის მოხსენებების

F-25.435
3

თეზისები

22—23 მაისი 1961 წელი

Тезисы докладов

юбилейной научной сессии института

22—23 мая 1961 г.



თბილისი 1961 წელი
Тбилиси 1961 год.

კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლის თავისათვის

კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის
ს/ს ინსტიტუტის დირექტორი პროფ. **ვ. ზ. გოგიბადაშვილი**

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლის თავს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ს/ს ინსტიტუტი გარკვეული მიღწევებით ხვდება:

1. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ს/ს ინსტიტუტმა დღიდან მისი დაარსებისა (ე. ი. 1921 წლის 13/10) დღემდე სახელოვანი გზა განვლო.

კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის შედეგად პატარა ფიზიოთერაპიული სამკურნალო გადაიქცა მძლავრ მრავალპროფილიან სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტად, რომელსაც აქვს ორი ფილიალი აფხაზეთში და წყალტუბოში, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ლაბორატორიები, სადაც მაღალკვალიფიციურ ექიმებთან ერთად მუშაობენ სხვა დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები: პედროგეოლოგები, ქიმიკოსები, ფიზიკოსები, კლიმატოლოგები და სხვა.

ინსტიტუტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს: საქართველოს მდიდარი საკურორტო რესურსების ძიება, გამოვლინება, ბუნებრივი და პრეფორმული სამკურნალო ფაქტორების მეცნიერულად შესწავლა, მათი სამკურნალო და პროფილაქტიკური გამოყენების მიზნით.

2. დიდი გარდატეხა მოახდინა ინსტიტუტის მუშაობაში საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულმა დადგენილებამ, რომ-

მელიც კურორტული საქმის განვითარებას ეხებოდა. ამის შესაბამისად საქართველოში ფართოდ გაიშალა, როგორც საძიებო ჰ/გეოლოგიური სამუშაოები, ისე კურორტული რესურსების ფართე და ყოველმხრივი შესწავლა. ამ სახით შესწავლილი იყო: წყალტუბო, ბორჯომი, მენჯი, ჯავა, ავადხარა, საირმე, მახინჯაური, ნაბელლავი, ჩუმათელეთი, ლებარდე, გორიჯვარი, ნასაკირალი, თბილისი და მრავალი სხვა.

ჩატარებულ მუშაობის შედეგად თავისი განვითარება ჰპოვა უკვე არსებულმა კურორტებმა, — როგორც არის ბორჯომი, წყალტუბო, აბასთუმანი, გაგრა და სხვა. წარმოიშვა ახალი კურორტები: ჯავა, მენჯი, შოვი, უწერა, ტყვარჩელი, თბილისი და სხვა.

წლების მანძილზე ჩატარებული ჰ/გეოლოგიური და ჰიდროქიმიური სამუშაოების შედეგად საქართველოში მინერალური წყლების ჯამური დებიტი 10 მილ. ლიტრიდან (1921 წ.) გაიზარდა 100 მილ. ლიტრამდე დღე-ღამეში.

3. სამამულო ომის წლებში ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დროებით შეწყვეტილ იქნა და მის ბაზაზე შეიქმნა ევაკო-ჰოსპიტალი ფიზიოთერაპიული პროფილით, რომელიც დიდ ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა მებრძოლთა გაჯანსაღების საქმეში.

სამამულო ომის ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ ინსტიტუტი კვლავ აახლებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას გაცილებით ფართო მაშტაბით და აძლევს მას გეგმაშეწონილ ხასიათს.

4. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის, მისი აფხაზეთის და წყალტუბოს ფილიალებთან ერთად სისტემატურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობის შედეგად საქართველოში განვითარდა მეცნიერების შედარებით ახალი დარგი — კურორტოლოგია-ფიზიოთერაპია და ჩადგა მედიცინის სხვა მოწინავე დარგთა რიგებში.

მეცნიერულად დასაბუთდა ბუნებრივ სამკურნალო და პრეფორმული ფაქტორების, როგორც თერაპიული და პროფილაქტიკური ეფექტიობა, ისე მათი მოქმედების მექანიზმის ახსნა.

5. კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი წარმოადგენს ამ დარგში მომუშავე სპეციალისტების მომზადების ბაზას. აქ განუწყვეტლივ იმალღებს კვალიფიკაციას კურორტზე მომუშავე სამედიცინო პერსონალი, რაც ხორციელდება, როგორც ორდინატურის, ასპირანტურის, სამუშაო ადგილების გამოყოფით, ისე კურორტებზე მათი წარმოებიდან მოუწყვეტლივ მომზადებით.

ინსტიტუტის ბაზაზე მუშაობენ სამედიცინო ინსტიტუტის და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრები. შესაბამისად ამისა იზრდება ინსტიტუტის კადრები, მალღდება მათი კვალიფიკაცია, განსაკუთრებით ზრდა აღინიშნება უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, საკმარისია აღინიშნოს რომ ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ დაცულ 30 საკანდიდატო დისერტაციიდან 24 ამ პერიოდს ეკუთვნის, ასევე 6 სადოქტორო.

6. საკავშირო კომუნისტური პარტიის 21-ე ყრილობის ისტორიული დადგენილების შესაბამისად ჩვენი ინსტიტუტის წინაშე ისახება ახალი მზარდი მოთხოვნილებები და ამ დარგის შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის დაუღალავ ზრუნვის შედეგად ინსტიტუტმა მიიღო ახალი მძლავრი სამეცნიერო საკვლევო ბაზა ბალნეოლოგიური კურორტის სახით, შენდება და წელს შევა ექსპლოატაციაში ორი ახალი კორპუსი კლინიკისა და ლაბორატორიებისათვის, იხსნება ახალი, მესამე ფილიალი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მისი უმდიდრესი კურორტული რესურსების მეცნიერულად შესწავლის მიზნით.

საქართველოს ტერიტორიაზე მინერალური წყლების გავრცელების ზონალობა

გეოლოგ.—მინ. მეცნ. კანდიდატი

ვ. ჯალიაშვილი და ბ. ჩიჩუა

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული მინერალური წყლების ზონირების საკითხებზე სხვა და სხვა დროს მუშაობდნენ პროფ. ოვჩინიკოვი ა. დოც. ჩიხელიძე ს. და აგრეთვე კურორტოლოგიის ს/ს ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგიური განყოფილების მეცნიერ მუშაკები.

ამ მუშაობის შედეგად დაგროვილი მასალის საფუძველზე 1960 წ. დასრულებულია საქართველოს მინერალური წყლების რუკის შედგენა.

აღნიშნული რუკის გეოლოგიური საფუძველია საქ. მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოს მიერ გამოცემული გეოლოგიური რუკა ცალკეული პლანშეტების სახით, აგრეთვე ზოგიერთი პლანშეტი, გამოცემული სომხეთის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს მიერ. გარდა ამისა, გამოყენებულია საქართველოს ტერიტორიის ზოგიერთი უბნების ის გეოლოგიური რუკები, რომლებიც ჯერ არაა გამოცემული.

დასახული ამოცანის შესაბამისად ავტორებმა ყველაზე მოხერხებულად სცნეს გეოლოგიურ საფუძველში სტრატეგრაფიულ-ლითოლოგიური კომპლექსები შემდეგნაირად დაეჯგუფებინათ:

1. მეოთხეული ასაკის ნალექები, ჩაუდური შრეების გამოკლებით ნაჩვენებია ერთად;

2. ჩაუდური შრეები გაერთიანებულია ნეოგენურ და პალეოგენურ ასაკის ნალექებთან.

აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზოლის პალეოგენური ნალექები,

როგორც ლითოლოგიურად მკვეთრად განსხვავებული საქართველოს ბელტის იმავე ასაკის ნალექებისაგან, ნაჩვენებია დამოუკიდებლად. გამოიყოფა მხოლოდ ე. წ. „ბორჯომის ფლიში“;

3. ზედა ცარცი, იმ შემთხვევაში თუ ნალექების ხასიათი განსხვავდება პალეოგენური ასაკის ნალექებისაგან ნაჩვენებია ცალკე;

4. ქვედა ცარციც, აგრეთვე, ნაჩვენებია ცალკე, გარდა იმ ადგილებისა, სადაც შესაძლებელია ალბური და აბტური სართულების თიხოვანი წყალგაუმტარი ნალექების გამოყოფა.

5. ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში ზედა იურის ლუზიტანური და კიმერიული სართულები ნაჩვენებია ერთად.

აღმოსავლეთით — ზედა იურა და შუა იურის ბათური სართულები გაერთიანებულია; გაერთიანებულია აგრეთვე ბაიოსური და ქვედა იურული სართულები.

საქ. ტერიტორიაზე მინ. წყლების გამოსავლების დიდი რაოდენობა (1300-მდე წყარო), ქიმიური შემადგენლობისა და ფიზიკური თვისებების მრავალსახეობა გაპირობებულია გეოლოგიური აღნაგობის სირთულითა და ნაოჭა სისტემების ახალგაზრდა ასაკით.

მინერალური წყლების განაწილება (განლაგება) ცალკეული გეოტექტონიკური ზონების მიხედვით, როგორცაა: კავკასიონის სამხრეთ ფერდი, საქართველოს ბელტი, აჭარა — თრიალეთის ნაოჭა სისტემა და სომხეთის ბელტი ძირითადად განისაზღვრება ცალკეული გეოტექტონიკური ზონის გეოლოგიური განვითარების ისტორიით. ცალკეული გეოტექტონიკური ზონების ფარგლებში სხვა და სხვა ქიმიური შემადგენლობის მინერალური წყლების გავრცელება ემორჩილება ზოგადად ცნობილ კანონზომიერებას: ვერტიკალურ ჭრილში (ზევიდან ქვევით), როგორც წესი მინერალიზაციის და ტემპერატურის ზრდასთან ერთად იცვლება აგრეთვე წყლის ტიპიც ჰიდროკარბონატულიდან ქლორიდულამდე.

რიგ შემთხვევებში აღნიშნული კანონზომიერება დარღვეულია, რაც გამოწვეულია ლითოლოგიური და ტექტონიკური პირობების თავისებურებით ამა თუ იმ კონკრეტულ უბანზე.

ზემოაღნიშნული მონაცემების ერთობლივობა, გეომორფოლოგიურ პირობებთან კავშირში, განაპირობებენ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ მინერალური წყლების კორიზონტალურ ზონალობას. რუკაზე გამოყოფილია შემდეგი ზონები:

I. კავკასიონის სამხრეთ ფერდის ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული და ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული წყლების ზონა;

II აზოტიანი და მეთანიანი, სულფატური და ქლორიდულ — კალციუმიანი წყლების ზონა;

III აზოტიანი და აზოტიან-მეთანიანი, ზოგან გოგირდწყალბადიანი, სხვა და სხვა შემადგენლობის წყლების ზონა,

IV. ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, ჰიდროკარბონატულ — სულფატური, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული და ქლორიდული წყლების ზონა.

კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდზე უპირატესი გავრცელებით სარგებლობენ ნახშირორჟანგიანი წყლები, მცირე კავკასიონის ტერიტორიაზე ნახშირორჟანგიანი და აზოტიანი წყლები, ხოლო საქართველოს ბელტზე-აზოტიანი და აზოტიან-მეთანიანი წყლები.

აღნიშნული ზონების შეხების ზოლში ვხვდებით შერეულ მინერალურ წყლებს.

საქართველოს ბელტის დახურულ სტრუქტურებთან დაკავშირებულია მეთანიან-გოგირდწყალბადიანი წყლები. მინერალური წყლების გავრცელების ზონებისა და გეოტექტონიკური სტრუქტურების საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ერთმანეთის ახლო განლაგებული და გენეტიურად დაკავშირებული წყაროები, როგორც ცნობილია წარმოადგენენ მინერალური წყლის საბადოს განტვირთვის კერას. სწორედ ამ საბადოების შემოკონტურება უნდა იყოს მუშაობის შემდგომი ეტაპის ამოცანა, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს უფრო მსხვილი მასშტაბის საფუძველზე.

მიკროელემენტებისა და გაზის უმცველოება ჩამოსასხმელ ბორჯომის მინერალურ წყალში

ფარმაცო. ქიმ. მეც. კანდ. ლ. ჩხატარაშვილი
მეც. თან. ვ. ვ. ულუხანოვი
მეც. კან. ი. ტ. შორიძე

1. მიკროელემენტების სამეცნიერო-პრაქტიკულ შესწავლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

2. როგორც ცნობილია, მინერალურ სამკურნალო წყლებში ბიოლოგიურად აქტიური მიკროელემენტები უაღრესად დიდ როლს თამაშობენ. მიკროელემენტების რაოდენობრივი განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ადამიანის ორგანიზმზე მათი ფიზიოლოგიური მოქმედების, როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებზე.

3. ამ უკანასკნელ წლებში, ბორჯომში ღრმა ჭაბურღილებიდან მიღებულია დიდი დებიტის მქონე მინერალური წყალი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ჩამოსასხმელად, მაგრამ მისი სრული ქიმიური შედგენილობა, მიკროელემენტების გათვალისწინებით უკანასკნელ დრომდე გამორკვეული არ იყო.

4. ზემოთ აღნიშნული ხარვეზის შესავსებად, მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ახალი ჭაბურღილები: № № 1, 4 ა, 5 და 41 ა-დან მიღებული წყლის ფიზიკა-ქიმიური თვისებები.

მინერალური წყლის მთელი რიგი კომპონენტების განსაზღვრას, გაზების საერთო შემცველობის შესწავლას და აგრეთვე ზოგიერთი ფიზიკა-ქიმიური მაჩვენებლების დადგენას ვაწარმოებდით უშუალოდ წყლის გამოსავლებთან.

სინჯების სრული ანალიზი წარმოებდა საქ. სსრ კურორტოლოგიის ინსტიტუტის ფიზიკა-ქიმიის სტაციონარულ ლაბორატორიაში.

მიკროელემენტების: F, Br, I, As, P, B, Li, Sr, Ba, Fe;

Ti, Al, Mn, Cu, Mo-ის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის გამოყენებული იყო. წონითი, მოცულობითი და კოლორიმეტრული მეთოდები.

5. ზემოჩამოთვლილი მიკროელემენტებიდან: F, As, Ti, Cu და Mo ბორჯომის მინერალური წყლის აღებულ სინჯებში განსაზღვრული იქნა პირველად, რომელთაგან დარიშხანი არ აღმოჩნდა.

6. ჩატარებული მუშაობის საფუძველზე გამოირკვა, რომ კურორტ ბორჯომში, აღნიშნულ ღრმა ბურღილებიდან მიღებული მინერალური წყალი თავისი ფიზიკა-ქიმიური თვისებებით ძირითადად არ განსხვავდება ძველი მინერალური წყაროების № 1 (ეკატერინეს) და № 2 (ევგენის) წყლისაგან.

ცალკეული შემადგენელი ნაწილების ზოგიერთი რაოდენობრივი არდამთხვევა მაგალითად: თავისუფალი ნახშირმჟავა გაზის შემცირება, მეთანისა და სულფატების მომატება და სხვა ბორჯომის მინერალური წყლის ტიპზე და საერთო ფიზიკა-ქიმიურ თვისებებზე გავლენას არ ახდენს.

7. ბორჯომის მინერალურ წყალში ნახშირმჟავა გაზის რაოდენობრივი კლებადობა უთუოდ ბუნებრივი მოვლენაა, რამდენადაც ზოგიერთი ჭაბურღილებიდან მიღებულია სრულიად უნახშირმჟავო სოდიანი წყალი.

სულფატებისა და მეთანის რამდენადმე რაოდენობრივი მომატება ზოგიერთი ბურღილების წყალში, შესაძლებელია აიხსნას დესულფატიზაციის პროცესების შენელებით, რაც დაკავშირებულია ბორჯომის მინერალური წყლის სიღრმიდან ამოყვანაზე.

ყველა ეს საკითხები მოითხოვენ შემდგომ ექსპერიმენტულ შესწავლას.

ზღვაში ბანაობის დროს ადამიანის ორგანიზმის გაკაჟების პროფილაქტიკური შესწავლის გამოცდილება

მედიც. მეც. კანდ ბ. ა. უზვერიძე

მედიც. მეც. კანდ. დ. ბ. ლათეზიძე

მეცნიერ მუშაკი ლ. კ. ჯიქია

კურორტული მკურნალობის, განსაკუთრებით კი კლიმატო-თერაპიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს დაავადების პროფილაქტიკა-ორგანიზმის გაკაჟება. აქედან გამომდინარე ზღვის სანაპირო კურორტებზე თალასოთერაპიის ყველა საშუალებანი უმთავრესად მიმართულია ორგანიზმის გამძლეობის მომატებისაკენ თერმიული და გარემოს სხვა ფიზიკური ფაქტორების მიმართ.

ზღვის სანაპირო კურორტებზე თერმულ გამაღიზიანებელთა შორის, ორგანიზმის გაკაჟებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზღვაში ბანაობას. ზღვის წყალი თავისი თერმიული, მექანიკური და ქიმიური თვისებებით იწვევს მნიშვნელოვან ძვრებს ადამიანის ორგანიზმში.

აღნიშნული გამოკვლევის ამოცანას წარმოადგენდა ზღვაში დოზირებული ბანაობის მიმართ ადამიანის ორგანიზმის რეაქტიულობის შესწავლა. ამ მიზნით დაკვირვება ტარდებოდა კურორტ გაგრას პირობებში პრაქტიკულად ჯანმრთელ პირებზე (33 ადამიანი).

ორგანიზმის რეაქტიულობაზე ვმსჯელობდით უმთავრესად თერმორეგულიაციის მაჩვენებლების მიხედვით, თერმოპროდუქციისა და სითბური დანაკარგის შეფარდების გზით.

ზემოაღნიშნულის მიზნით ზღვაში ბანაობამდე და მის შემდეგ ვსაზღვრავდით გაზთა ცვლას ჰოლდენის წესით (ჩატარებული იყო 200 მდე ანალიზი). ეს საშუალებას გვაძლევდა გვემსჯელა თერმოპროდუქციის შესახებ. ვსწავლობდით სუნ-

თქვის წუთურ მოცულობას (მხედველობაში ვიღებდით სუნ-
თქვის სიხშირეს და სიღრმეს), სუნთქვის შეკავების ხანგრძლი-
ვობას ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის ფაზაში.

გარდა ამისა, ვსაზღვრავდით კანის ტემპერატურას სხეულის
სამ წერტილში: ზედა კიდურის ცერზე, ეპიგასრიუმის და ილ-
ლიის მიდამოებში. კანის ტემპერატურას ვსინჯავდით 3 ჯერ:
ზღვაში ბანაობამდე, ბანაობის 5 და 15 წუთის შემდეგ. ჰემო-
დინამიური მაჩვენებლებიდან ვსაზღვრავდით მაჯასა და არტე-
რიულ წნევას დინამიკაში.

გაკაყების დადგენისათვის გამოკვლევებს ზემოაღნიშნულის
სახით ვაწარმოებდით თვითეულ პირზე 3 ჯერ: პირველ ბანაო-
ბაზე, დასვენების მე-10 დღეს და დამსვენებლის სანატორიუმი-
დან გაწერის წინ ე. ი. 20—22 დღეზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ
ხნის განმავლობაში დამსვენებლები ყოველდღიურად იღებდ-
ნენ პლიაჟის პროცედურებს. დაკვირვების დღეს გამოკვლევის
ქვეშ მყოფი პირები ბანაობდნენ 5 წუთის განმავლობაში, ცურ-
ვის გარეშე. მხედველობაში ვიღებდით ჰაერის ეფექტურ ტემ-
პერატურას და ზღვის წყლის ტემპერატურას.

ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგენილი იქნა, რომ
ზღვაში სისტემატური ბანაობა იწვევს ორგანიზმის რეაქტიუ-
ლობის დაქვეითებას ზღვის წყლის თერმიულ ფაქტორის მი-
მართ, ორგანიზმი ხდება ნაკლებ მგრძობიარე დაბალ ტემპე-
რატურის მოქმედებაზე.

ადამიანის ორგანიზმის გაკაყების შედეგად რეფლექსური
რეაქციები ხდება უფრო სრულყოფილი, უმჯობესდება თერმო-
რეგულიაციის მექანიზმები, ბანაობის დროს ენერგიის დანაკარ-
გი მინიმალურად უფრო ეკონომიურად.

ამრიგად ორგანიზმის რეაქციულობის მაჩვენებლების. დი-
ნამიკის ხასიათი და მიმართულება საშუალებას გვაძლევს და-
ვადგინოთ ადამიანის ორგანიზმის გაკაყების ხარისხი.

გაზთა ცვლა და სუნთქვის გარეგანი ფუნქცია ფილტვების ტუბერკულოზის დროს საშუალო მთის ჰავის პირობებში

მედიც. მეცნ. კანდ. ზ. უზვერიძე

ფილტვების ტუბერკულოზის დროს აღინიშნება დარღვევები გაზთა ცვლისა და სუნთქვის გარეგანი ფუნქციის მხრივ, რაც გამოწვეულია ფილტვების სასუნთქი ზედაპირის შემცირებით და ტუბერკულიოზური ინტოქსიკაციით.

საშუალო მთის კლიმატი, რომელიც წარმატებით გამოიყენება ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალოდ, ხასიათდება ჟანგბადის შედარებით დაბალი პარციალური წნევით, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს ტუბერკულოზით დაავადებულებზე და განსაკუთრებით ისეთ ავადმყოფებზე, რომელთაც აღენიშნებათ ჟანგბადის ფარული ან აშკარა ნაკლოვანების ნიშნები.

დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ავადმყოფები, რომელთაც აქვთ ფილტვების ვრცელი დაზიანება, ცუდათ იტანენ მთის ჰავას, ვინაიდან მათ უნვითარდებათ ჰიპოქსემიის მოვლენები.

ამასთან გვხვდება ისეთი პარადოქსალური შემთხვევებიც, როდესაც მთის ჰავისათვის ე. წ. — უკუნაჩვენები ავადმყოფები კარგად ეგუებიან ჟანგბადის დაბალ პარციალურ წნევის პირობებს.

ეს გამოწვეულია ქსოვილებში ჟანგბადის მოხმარების ინტენსიობის სხვადასხვაობით და პირობადებულია არა იმდენად ფილტვების დაზიანების ფართობით, რამდენადაც სასუნთქი და ნერვული სისტემის ფუნქციური მდგომარეობით.

შრომაში გაშუქებულია საკითხები სხვა და სხვა სიმძიმის ტუბერკულოზით დაავადებულ ავადმყოფთა გაზთა ცვლაზე საშუალო მთის ჰავის გავლენის შესახებ; გამოვლინებულია ორ-

განიზმის ადაპტაციური უნარი ქანგბადის დაბალი პარციალური წნევისადმი; დადგენილია ავადმყოფებში ქანგბადის ნაკლოვანების ხარისხი.

ამ საკითხების შესწავლის მიზნით ჩატარებულია შემდეგი გამოკვლევები:

1. გაზთა ცვლის განსაზღვრა ჰოლდენის მეთოდით, როგორც მოსვენებულ მდგომარეობაში, ისე დატვირთვის შემდეგ.
2. გარეგანი სუნთქვის ფუნქციის განსაზღვრა.
3. ოქსიგემომეტრია.

შრომა შესრულებულია სანატორიუმ ლიბანის ბაზაზე (1360 მ. ზღვის დონიდან) გამოკვლევები წარმოებდა 2 წლის განმავლობაში (1959—60 წლებში) სულ გამოკვლეულია 80 ავადმყოფი. გარდა ამისა თბილისში, ტუბინსტიტუტის ბაზაზე გამოკვლეულ იქნა საკონტროლო ჯგუფი 13 ავადმყოფის რაოდენობით.

კურორტ გაგრის კლიაჟის მიკროკლიმატური დახასიათება

მეც. მუშაკები: რ. პ. კავკასიძე, ნ. ზ. გონზლაძე

1. შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე მშრომელი მოსახლეობის მკურნალობისა და პროფილაქტიკის მიზნით ფართოდ იყენებენ მზის სხივოსნურ ენერგიას, მაგრამ პლაჟის თერმული რეჟიმის, მზის ჯამური, გაფანტული რადიაციის და განსაკუთრებით მისი ულტრაიისფერი სხივების მაჩვენებლებზე მასალების უკმარისობა ხელს უშლის მკურნალობის სწორად წარმართვას.

2. ზემოთაღნიშნული ხარვეზების შესავსებად 1960 წლის მაისიდან ოქტომბრამდე კურორტ გაგრის სამედიცინო და „ჩელუსკინელების“ სახელობის სანატორიუმის პლაჟზე ავტორების მიერ წარმოებდა მიკროკლიმატური დაკვირვებანი. წინათ არსებულ და ჩვენს მიერ მოპოვებულ მასალებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა ჯამური და გაბნეული რადიაციის, ჰაერის ტემპერატურის, სინოტივის, ქარის სიჩქარის დღიური მსვლელობა ქვიშის ზედაპირზე და მისგან 20, 50, 100, და 150 სმ სიმაღლეებზე. დადგინდა აგრეთვე ზღვის წყლის ტემპერატურის დღიური მსვლელობა თვეების მიხედვით.

3. შრომაში განხილულია აგრეთვე აეროჰელიოთერაპიის ზოგიერთი თეორიული საკითხები და მოცემულია პრაქტიკული დასკვნები პლაჟზე ჰაერის თერმიული რეჟიმის ცვალებადობის შესახებ დღის განმავლობაში ცალკეულ დღეების და თვეების მიხედვით. დადგენილია პლაჟის სეზონის დადგომის და დამთავრების საშუალო ვადები; დადგენილია აგრეთვე მზის, ჰაერის და ზღვის აბაზანების მისაღებად ყველაზე კეთილსასურველი საათები დეკადების და თვეების მიხედვით.

4. კურორტ გაგრის პლაჟზე მზის და ჰაერის აბაზანების

ჩატარება თერმიული პირობების მიხედვით მაისის პირველ რიცხვებიდან ოქტომბრის ბოლომდე შეიძლება. ზღვის წყლის ტემპერატურის მიხედვით საბანაო სეზონის დასაწყისად მაისის ბოლო ან ივნისის დასაწყისი უნდა ჩაითვალოს ე. ი. საბანაო სეზონი დაახლოებით ერთი თვით გვიან დგება ვიდრე მზით და ჰაერით მკურნალობის სეზონის დასაწყისი.

მზით და ჰაერის აბაზანების მკურნალობისას არასასურველი შედეგის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია:

ა) პლაჟის სეზონის დასაწყისში (მაისი) და ბოლოს (ოქტომბერში) მზის და ჰაერის აბაზანები ტარდებოდეს შუადღის საათებში (12-16 საათი).

ბ) ზაფხულში (განსაკუთრებით ივლის-აგვისტოში) მზის აბაზანები მიზანშეწონილია ტარდებოდეს დილით 8 — საათიდან 12 — საათამდე და საღამოთი 18 საათიდან 20 საათამდე, ხოლო ჰაერის აბაზანები დილით 10 საათიდან 13 საათამდე და საღამოთი 17 საათიდან 20 საათამდე. შუადღის საათებში (12-17 საათი) აბაზანების მიღება მაღალი ეფექტური და რადიაციულ ეფექტური ტემპერატურების გამო (ჩვეულებრივად 25° -ზე ზევით) არასასურველია.

გ) ზღვის წყლის ტემპერატურა ივნისიდან ნოემბრამდე ძირითად ოპტიმალურია, რაც საშუალებას იძლევა მისი ფართოდ გამოყენებისა.

ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზით
დაავადებულთა მკურნალობის ეფექტიობა კურორტ
ცაიშის პირობებში

მ/მ-ა. გოგოშვილი, მ/მ ვ. ჯაში, ექ. ვ. მამფორია

აღნიშნული შრომის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა და მეცნიერულად დაგვესაბუთებინა ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზით დაავადებულთა მკურნალობის ეფექტიობა კურორტ ცაიშის პირობებში ჰიპერთერმულ მინერალური წყლის აბაზანების გამოყენების დროს. ამ მიზნით ჩატარებული იყო დაკვირვება 50 სტაციონალურ ავადმყოფზე, რომლებსაც გარდა კლინიკურ გამოკვლევების მკურნალობამდე და მის შემდეგ ესაზღვრებოდათ ზემოკიდურების ოსცილიაცია, სისხლის ნაკადის სისწრაფე ლეციტინის და ქოლესტერინის რაოდენობა სისხლში, გულის წუთური მოცულობა და ფარული შეშუპება. აღნიშნულ გამოკვლევებთან ერთად ვსწავლობდით ავადმყოფების ელექტროკარდიოგრაფიულ მაჩვენებლებს. დაკვირვების ქვეშ მყოფი ავადმყოფები 3 კვირის განმავლობაში იღებდნენ 16—24 აბაზანას. ავადმყოფებს აბაზანის ხანგრძლიობა და ტემპერატურა ენიშნებოდათ ინდივიდუალური მიდგომით. (წყლის t° -35°-36°, ხანგრძლიობა 10—15 წუთი).

მკურნალობის პერიოდში ავადმყოფებს ჩივილები სრულიად უქრებოდათ ან უმცირდებოდათ (ტკივილი გულის არეში, ქოშინი, ადვილად დაღლა, უძილობა და სხვა) 8-10 აბაზანის მიღების შემდეგ. მკურნალობის შედეგად სუბიექტური მდგომარეობის გაუმჯობესება არ აღენიშნა მხოლოდ 3 ავადმყოფს. გარდა სუბიექტური მდგომარეობისა ავადმყოფებს აღენიშნებოდათ აგრეთვე ობიექტური მაჩვენებლების გაუმჯობესება. ასე მაგალითად 33 ავადმყოფს, რომლებსაც მკურნალობამდე აღენიშნებოდათ მაჯის რითმის და სიხშირის დარღვევა მკურნალობის შედეგად 24-ს მაჯა გამოუსწორდა. მკურ-



ნალობამდე სისხლძარღვთა ტონუსის დარღვევა აღენიშნებოდა 39 ავადმყოფს — მკურნალობის შედეგად ოსცილომეტრული ინდექსი ნორმას მიუახლოვდა 9 შემთხვევაში. სისხლის ნაკადის სისწრაფე მკურნალობამდე 38 ავადმყოფს ქონდა შენელებული მკურნალობის ბოლოს 20 შემთხვევაში გამოსწორდა და 7-ში საგრძნობლად აჩქარდა. მკურნალობის შედეგად 41 ავადმყოფიდან ელექტროკარდიოგრაფიული მაჩვენებლების გაუმჯობესება აღენიშნა 16 ავადმყოფს, რაც გამოიხატა სისტოლური მაჩვენებლის გაუმჯობესებაში, რითმის, ვოლტაჟის და კორონალური ცვლილებების გამოსწორებაში. მკურნალობამდე და მის შემდეგ სისხლში ხოლესტერინი და ლეციტინი გამოკვლეული ჰქონდა 40 ავადმყოფს. გამოკვლევებმა გვაჩვენა, რომ ცაიშის მინერალური წყლის გავლენით 50% შემთხვევაში საგრძნობლად მცირდება ქოლესტერინი, პარალელურად მატულობს ლეციტინის რაოდენობა სისხლში. ჩატარებული მკურნალობის შედეგად 50 ავადმყოფიდან მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით გაეწერა 7, გაუმჯობესებით 40 და უცვლელ მდგომარეობაში 3 ავადმყოფი.

ჩატარებული დაკვირვების შედეგად ავტორები მიდიან შემდეგ დასკვნამდე.

1. ცაიშის ჰიპერთერმული მინ. წყლის აბაზანები წარმოადგენენ ეფექტიურ სამკურნალო საშუალებას ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზების დროს.

2. კურორტ ცაიშში მკურნალობის შედეგად ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზით დაავადებულ ავადმყოფთა უმრავლესობას აღენიშნათ ჰემოდინამიური მაჩვენებლების ნორმალიზირება, ლეციტინ — ქოლესტერინის კოეფიციენტის მომატება და სისხლძარღვთა ტონუსის გაუმჯობესება.

3. ცაიშის მინ. წყლის აბაზანების დანიშვნის დროს (ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზების შემთხვევაში) საჭიროა ავადმყოფისადმი ინდივიდუალური მიდგომა ე. ი. ცალკეულ შემთხვევაში შეფასდეს ავადმყოფის მდგომარეობა — უმთავრესად მიზანშეწონილია დაინიშნოს 35° - 36° ტემპერატურის მქონე აბაზანა 10-12 წუთის ხანგრძლივობით. მკურნალობა უხდა განისაზღვროს 16—20 პროცენტურით.

კურორტ ცაიში გინეკოლოგიური ავადმყოფების მკურნალობა

მედ. მეცნ. კან. ნ. ს. აბაჯანოვი

შრომაში მოცემულია კურორტ ცაიში 94 გინეკოლოგიური ავადმყოფის ცაიშის ჰიპერთერმული მინერალური წყლით მკურნალობის შედეგები.

ავადმყოფებს ქონდათ შემდეგი დაავადებანი: საშვილოსნოს დანამატების ანთება, კოლპიტი, საშვილოსნოს დევიაცია, კლიმაქტერიული სინდრომი, ვულვის ქავილი.

მკურნალობის მეთოდიკა: ცაიშის ჰიპერთერმული მინერალური წყლის საერთო აბაზანები, წყლის ტემპერატურა 36° , პროცედურის ხანგრძლივობა 15 წუთი, ყოველდღე თითო აბაზანა, 15—20 საერთო აბაზანა და საშოს შესხურება $38—42^{\circ}$ ტემპერატურის წყლით, 20 წუთის განმავლობაში, დღეში ერთხელ, მკურნალობის კურსი 15—20 შესხურებით განისაზღვრება.

ჩატარებული მკურნალობის შედეგად 94 ავადმყოფიდან 24 გამოჯანმრთელდა, გაუმჯობესება მიიღო 52, უცვლელი მდგომარეობა აღენიშნა 13-ს გაუარესება მიიღო 5 ავადმყოფმა.

მკურნალობის ყველაზე მეტი ეფექტი აღინიშნება საშვილოსნოს დანამატების ანთების და კოლპიტის დროს.

კურორტი ცაიში მიღებული შედეგების საფუძველზე, შეიძლება რეკომენდირებული იქნას პირველ რიგში საშვილოსნოს დანამატების ანთებისა და კოლპიტების დროს.

კურორტ ცაიში მკურნალობისათვის ნაჩვენებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე საშოს ყელის ეროზია, საშვილოსნოს დევიაცია, პერიმეტრიტები და კლიმაქტერიული სინდრომი.

**ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზით და
ჰრონიკული კორონარულ უკმარისობით დაავადებულ-
თა თბილისის თერმულ — გოგირდოვანი წყლის
აბაზანების ასკორბინის მჟავასთან კომპლექსურ
მკურნალობის ეფექტიობის საკითხისათვის**

მ/მ. ნ. თ. ცხომელიძე.

მედიც. მეცნ. კანდ — ლ. მ. ტყეშელაშვილი

უკანასკნელ წლების მანძილზე ჩვენს მიერ საქ. ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში შესწავლილი იყო ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზით დაავადებულ ავადმყოფებზე თბილისის თერმულ-გოგირდოვანი, რადონული და ნახშირმჟავა წყლის აბაზანების ცალცალკე და სამკურნალო ფიზ-ვარჯიშთან და ნოვოკაინის იონტოფორეზთან კომპლექსში მკურნალობის ეფექტიობის საკითხი. მიღებულმა შედეგებმა ცხადყოფს აღნიშნული ფაქტორთა დადებითი სამკურნალო მოქმედება, რაც გამოიხატებოდა ძირითადად სუბიექტურ სიმპტომთა გულისა და სისხლის მიმოქცევის ფუნქციათა მნიშვნელოვან გაუმჯობესებაში. რაც შეეხება ქოლესტერინისა და ლიპოპროტეიდების ცვლის მოშლას, რომელიც ათეროსკლეროზულ პროცესის განვითარებაში ძირითად ეთიოპათოგენურ ფაქტორს წარმოადგენს, გარკვეული დინამიური ძვრები აღნიშნულ ფაქტორთა გავლენით მიღებული იყო მხოლოდ ზომიერად გამოხატულ ჰიპერქოლესტერინემიის დროს.

წარმოდგენილი შრომის მიზანს შეადგენდა გამოგვეჩვენებინა კომპლექსური მკურნალობის ისეთი მეთოდი, სადაც ვიმოქმედებდით არა მარტო გულსისხლძარღვთა სისტემის ფუნქციურ ცვლილებებზე, არამედ დარღვეულ ლიპოიდურ ცვლაზედაც. ლიტერატურაში (ი. ა. მიასნიკოვა, ე. ი. ფედოროვი, კ. ს. სედოვი, თ. გ. გლაბენკო ა. ა. ტიაპინა, გ. ი. ლოგ-

მან და ბარკოვსკი და სხვა მრავალი) სულ უფრო ხშირად ვხვდებით ცნობებს ასკორბინის მჟავის და B ჯგუფის ვიტამინების შემთავებელ გავლენის შესახებ ათეროსკლეროზულ პროცესის, განვითარებაზე.

ვიტამინების ეს თვისება საფუძვლად დაედო მათ სამკურნალო პროფილაქტიკურ გამოყენებას. აქედან გამომდინარე ჩვენც ბალნეოლოგიური მკურნალობის ეფექტიობის გაძლიერების თვალსაზრისით თბილისის თერმულ-გოგირდოვანი წყლის აბაზანებთან ერთად მკურნალობის კომპლექსში შევიტანეთ ასკორბინის მჟავის შინაგანი მიღება 150—200 მგ. რაოდენობით, სამჯერ დღეში 25—26 დღის განმავლობაში.

ამავე ხნის განმავლობაში ავადმყოფები ღებულობდნენ თბილისის თერმულ-გოგირდოვან აბაზანებს ყოველდღე, ან დღეგამოშვებით, კურსზე 12—15 აბაზანის რაოდენობით. წყლის ტემპერატურა 35° — 36° , ხანგრძლიობა 10—15°.

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 63 ავადმყოფი 40—65 წლის ასაკში დაავადებული ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზით. აქედან 13 — ჰქონდა გამოხატული კორონაროსკლეროზი და 14 თანდართული ჰიპერტონიული სნეულებაც. 20 ავადმყოფს აღენიშნებოდა სისხლის მიმოქცევის მოშლა I ხარისხის, დანარჩენებს კი არამყარი კომპენსაცია.

ავადმყოფები დაყოფილი იქნა ორ ჯგუფად:

პირველ ჯგუფში შემავალი 43 ავადმყოფი ღებულობდა კომპლექსურ მკურნალობას (აბაზანებს და ასკორბინის მჟავას ზემოთ აღნიშნული მეთოდით).

მეორე ჯგუფის 20 ავადმყოფი ღებულობდა მხოლოდ თბილისის თერმულგოგირდოვან აბაზანებს.

ჩატარებული მკურნალობის შედეგად ირკვევა, რომ ავადმყოფთა ორივე ჯგუფს, უფრო მეტად კი პირველ ჯგუფს აღენიშნებათ მკურნალობამდე არსებული სუბიექტური სიმპტომთა მოხსნა ან მნიშვნელოვნად შემცირება. ამასთან ერთად ობიექტურად აღინიშნებოდა ჰემოდინამიური და ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემთა გაუმჯობესება, რაც პირობადებული იყო გულისა და სისხლის მიმოქცევის ფუნქციის გაუმჯობესებით.

ავადმყოფთა უმეტეს ნაწილს მკურნალობის დასაწყისში აღენიშნებოდა საერთო ქოლესტერინის და ქოლესტერინ ესთერების მომატება ლეციტინ-ქოლესტერინის თანაფარდობის შემცირება. საერთო ცილა მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის, მაგრამ ყველა შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ალბუმინების რაოდენობის დაკლებას და β და γ — გლობულინების მომატებას.

ჩატარებული კომპლექსური მკურნალობის შედეგად ადგილი აქვს ზემოთ მოყვანილ ბიოქიმიური მაჩვენებლების ნორმალიზაციას რაც გამოიხატა საერთო ქოლესტერინისა და ქოლესტერინ-ესთერების შემცირებაში, თავისუფალ ქოლესტერინის მომატებაში; მოიმატა აგრეთვე ლეციტინ-ქოლესტერინის თანაფარდობის მაჩვენებელმა. ამასთანავე გამოსწორდა ცილების ფრაქციები და ლიპოპროტეიდები მოიმატა ალბუმინებისა და α — ლიპოპროტეიდების რაოდენობამ, დაიკლო β და α — გლობულინებმა და β — ლიპოპროტეიდებმა.

მეორე ჯგუფის ავადმყოფებს, რომლებიც ატარებდნენ მკურნალობას მარტო აბაზანებით, ბიოქიმიური მაჩვენებლების გაუმჯობესება ნაკლები ხარისხით ჰქონდათ გამოხატული.

მიღებული ბიოქიმიური ძვრები ნათლად ამჟღავნებენ ასკორბინის მჟავის დადებით გავლენას ლიპოიდურ და ცილოვან ცვლაზე ათეროსკლეროზის დროს.

სუბიექტურ სიმპტომთა, ჰემოდინამიურ და ელექტროკარდიოგრაფიულ მონაცემთა გაუმჯობესება, ამასთანავე ბიოქიმიური მაჩვენებლების ნორმალიზაცია ცხადჰყოფს, რომ თბილისის თერმულგოგირდოვანი წყლის აბაზანების და ასკორბინის მჟავის კომპლექსური მკურნალობა წარმოადგენს ეფექტიურ სამკურნალო მეთოდს ათეროსკლეროზულ კარდიოსკლეროზით დაავადებულ ავადმყოფთათვის.

ჰიდროაეროიონების სხვადასხვა კონცენტრაციის შედარებითი ეფექტიობა ჰიპერტონული სნეულების დროს.

პროფ. ვ. ბ. გოგიბადაშვილი
მედ. მეცნ. კანდ. ე. ა. ჩილინგარიშვილი

ჰიპერტონული დაავადების ფიზიოთერაპიულ მკურნალობის მეთოდებს შორის უკანასკნელ წლებში ჰიდროაეროიონიზაციამ განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით სამკურნალოდ გამოყენებული აეროიონების კონცენტრაცია სხვადასხვა ავტორების მიხედვით მერყეობს დიდ ფარგლებში.

ჰიპერტონული დაავადების დროს გამოყენებულ ჰიდროაეროიონების სხვადასხვა კონცენტრაციიდან ძნელდება შედარებითი ეფექტიანობის გამოვლინება და ამა თუ იმ მეთოდისათვის უპირატესობის მიკუთვნება. რადგან დაკვირვება ავტორთა მიერ სხვადასხვა კონსტრუქციის გენერატორებზეა ჩატარებული.

1960 წელს ჩვენს მიერ ჩატარებულმა დაკვირვებამ დადასტურა ჰიდროაეროიონიზაციის დადებითი მოქმედება ჰიპერტონულ სნეულებით დაავადებულებზე. აღნიშნული ეფექტი 80 — 85 ათასი უარყოფითი ჰიდროაეროიონების შემცველ პროცედურებით იყო მიღებული (I მეთოდი).

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა სხვადასხვა კონცენტრაციის ჰიდროაეროიონების შედარებითი ეფექტიანობა ჰიპერტონული სნეულებით დაავადებულ ავადმყოფებზე, რომელიც ერთი და იგივე გენერატორიდან იქნებოდა მიღებული (ჩერნიავსკის). ამ მიზნით დაკვირვება ვაწარმოეთ ჰიპერტონული სნეულებით დაავადებულ 57 ავადმყოფზე, რომლებსაც გენერატორიდან გარკვეული მანძილის დაცილებით (ექსპო-

ზიცია ავადმყოფსა და გენერატორის შორის უდრიდა 40-სმ.)
იონთა კონცენტრაცია 35—40 ათასამდე დავიყვანეთ 1 სმ.³ ჰა-
ერში (მეორე მეთოდი). შედარებითი ეფექტიანობის გამოვლი-
ნების მიზნით დაუპირისპირეთ I და II მეთოდით მიღებული
შედევები. პროცედურების ხანგრძლიობა 20' და რაოდენობა
(15—20 პროცედურა) ორივე მეთოდის დროს რჩებოდა იგივე.
ერთი და იგივე იყო აგრეთვე ავადმყოფთა ამ ორი ჯგუფის
კვლევის მეთოდებიც.

დაკვირვება წარმოებდა ავადმყოფთა სუბიექტური სტატუ-
სის და ჰემოდინამიკის მონაცემების აღრიცხვით. ჰემოდინამი-
ურ მაჩვენებლებიდან ვიკვლევდით სისტოლურ და დიასტო-
ლურ, საშუალო დინამიურ წნევას, ოსცილომეტრულ ინ-
დექსს, თითის არტერიების წნევას და მაჯის სიხშირეს.

ავადმყოფთა ამ ორი ჯგუფის მონაცემების დაპირისპირებით
გამოირკვა, რომ პროცედურების ამტანობა მეორე მეთოდის
დროს რამოდენიმედ უკეთესია, ასე მაგალითად, პირველი ჯგუ-
ფის 82 ავადმყოფიდან პროცედურების გავლენით მოდუნება—
მსუბუქი თავბრუსხვევა, გულის რევა აღენიშნებოდა 5-ს, მე-
ორე მეთოდით მკურნალობის დროს კი 57 ავადმყოფიდან არც
ერთს.

მკურნალობის კურსის გავლენით ჩივილების მოსპობა, შემ-
ცირება ავადმყოფთა ორივე ჯგუფს აღენიშნებოდათ ერთნაი-
რად; პირველ რიგში ძირითადად ქრებოდა ჩივილები თავის
ტკივილის, უძილობის და გულის ცემის შესახებ.

ჰიპერტონული დაავადების I^B II^A სტადიის ავადმყოფთა
ჰემოდინამიურ მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ მკურნა-
ლობის მე-II მეთოდმა ისეთივე დადებითი შედეგები მოგვცა
როგორც პირველმა.

რაც შეეხება II^B სტადიის შედეგებს, ისინი იყო შედარე-
ბით ნაკლებ ეფექტიური როგორც მე-II მეთოდის (II-დან
დადებით შედეგით გაეწერა 6), ისე I მეთოდის დროს (15-
დან 8).

სხვადასხვა კონცენტრაციის (40 და 80 ათასი ერთეული
1 სმ³ ჰაერზე) აეროინებით მკურნალობის შედეგების ანალიზმა
გვიჩვენა, რომ ჰიპერტონული სნეულებით დაავადებულ ავად-

მყოფთა მკურნალობის ეფექტიობის მხრივ ამ ორ მეთოდს შორის შესამჩნევი სხვაობა არ აღინიშნება.

ჩვენს მიერ მიღებული შედეგები ემთხვევა მკვლევარების (ვაილისა და ივანოვის) დასკვნას იმის შესახებ, რომ აეროიონების ფიზიოლოგიური ეფექტი ძირითადად მათი პოლარობით განისაზღვრება და მეტად ნაკლებად არის დამოკიდებული იონების კონცენტრაციაზე.

ჩატარებული დაკვირვების საფუძველზე თავს ნებას ვაძლევთ გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ჰიდროაეროიონიზაციით მკურნალობის გავლენით ჰიპერტონული სნეულებით დაავადებულებს აღენიშნებათ სუბიექტურ მდგომარეობის გაუმჯობესება და მთელი რიგი ჰემოდინამიურ მაჩვენებლების დადებითი ძვრები: სისტოლურ, დიასტოლურ, საშუალო დინამიურ წნევის, თითის არტერიების წნევის დაქვეითება, მაჯის სიხშირისა და ოსცილომეტრული ინდექსის ნორმალიზება, აგრეთვე კანის რეაქციულობის გაძლიერება ულტრაიისფერ ერითემაზე.

2. ჰემოდინამიკის კეთილსასურველი ძვრები უფრო მეტად ჰიპერტონული სნეულების ადრეულ ($I^B - II^A$) სტადიებშია გამოხატული, მაგრამ სუბიექტურ მდგომარეობის გაუმჯობესებას და რამოდენიმედ გამოხატული ჰიპოტენზურ ეფექტს, ადგილი აქვს აგრეთვე ჰიპერტონული დაავადების II^B სტადიაში.

3. ჰიდროაეროიონების კონცენტრაციის ის სხვაობა (40 და 80 ათასი 1 სმ³. ჰაერზე), რომელიც ჩვენს მიერ იყო შესწავლილი ჰიპერტონული სნეულებით დაავადებულთა მკურნალობის შედეგების მაღალი ეფექტიობის გამო შეიძლება რეკომენდირებული იყოს ჰიპერტონული დაავადების სამკურნალოდ ამბულატორულ პირობებშიც.

ბრონქიალური ასთმით დაავადებულთა ჰიდროაერო- იონიზაციითა და სამკურნალო ტანვარჯიშით კომპ- ლექსური მკურნალობის ეფექტიობის შესახებ

მედ. მეცნ. კანდ. ნუცუბიძე უ. ზ.

მედ. მეცნ. კანდ. ჩილინგარიშვილი ე. ი.

უკანასკნელ ათეულ წლებში ბრონქიალური ასთმის მრავალ სამკურნალო საშუალებათა შორის, დიდი ყურადღება ექცევა უარყოფითი იონების გამოყენებას.

მთელი რიგი მკვლევარები თავიანთი გამოცდილების საფუძველზე, ასევე დიდ როლს ანიჭებენ სამკურნალო ტანვარჯიშს — სპეციალური სუნთქვითი ვარჯიშების გამოყენებას ხმოვანი ასოების გამოთქმით ამოსუნთქვის დროს. დადასტურებულია, რომ ასეთი ვარჯიშები რეფლექსურად აქვეითებს ბრონქების სპაზმს.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ჰიდროაეროიონიზაციის, სამკურნალო ტანვარჯიშისა და გულმკერდის მასაჟის კომპლექსური მოქმედების ეფექტიობა.

დაკვირვება ჩატარებულია 60 ამბულატორულ ავადმყოფზე, ამათგან მამაკაცი იყო 21, დედაკაცი — 39. ასაკის მიხედვით ავადმყოფთა უმრავლესობა 41 დან 60 წლისა — იყო.

დაავადების ხანგრძლივობა უდრიდა 1-დან 15 წელს. თანდართულ დაავადებებიდან უმთავრესად ვხვდებოდით — ქრონიკულ ბრონქიტსა და ფილტვების ემფიზემას.

მკურნალობის ეფექტიობის აღრიცხვისათვის ვუტარებდით კლინიკურ და ლაბორატორიულ გამოკვლევებს, გულმკერდის რენტგენოსკოპიას, სინჯს სუნთქვის შეკავებაზე, პნევმომეტრიას (ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა) ვზომავდით ფილტვების სასიცოცხლო ტევადობას და გულმკერდის ექსკურსიას. ერთ-ერთ ობიექტურ მაჩვენებლად გამოყენებული იყო კანის მგრძნობელობა ულტრაიისფერი ერიტემაზე.

ჰიდროაეროინიზაციას ავადმყოფები იღებდნენ ყოველ დღე 15-20 წუთის ხანგრძლივობით. მკურნალობის კურსის განმავლობაში სულ 20 პროც. სამკურნალო ტანვარჯიშს 20 და გულმკერდის მასაჟის 15—16 პროცედურას.

კომპლექსური მკურნალობის შედეგად დაიკლო სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის უკმარისობის ნიშნებმა. თანდათან იშვიათდებოდა ხან დასაწყისშივე ქრებოდა შეტევები მოხრჩობის გრძნობით, თითქმის ყველა შემთხვევაში უმჯობესდებოდა ძილი.

ობიექტური მონაცემები: მაჯის ცემა და სუნთქვა დაუბრუნდა ნორმას; მომატებული სისხლის წნევა ნორმალიზებას განიცდიდა; სინჯი სუნთქვის შეკავებაზე, პნევმომეტრია, ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა და გულმკერდის რენტგენოსკოპია უმრავლეს შემთხვევაში გვიჩვენებდა დიაფრაგმის მოძრაობის გაუმჯობესებას და ფილტვებში შეგუბებითი მოვლენების შემცირებას.

ფოტოერთემის ცვლილებები უმთავრესად ემთხვეოდა ავადმყოფთა კომპლექსური მკურნალობის შედეგებს — ძლიერდებოდა მკურნალობის დადებითი შედეგებისას და იგივე რჩებოდა უცვლელი მდგომარეობის დროს.

ჰიდროაეროინოთერაპია ბრონქიალური ასთმით დაავადებულთათვის წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას. 15 ავადმყოფიდან, რომლებიც იღებდნენ მხოლოდ ჰიდროაეროინიზაციას გაუმჯობესებით გაეწერა 10, უცვლელი მდგომარეობით — 5 ავადმყოფი,

სამკურნალო ტანვარჯიში და გულმკერდის მასაჟი აძლიერებს ჰიდროაეროინიზაციის მოქმედებას. 45 ავადმყოფიდან გაუმჯობესებით გაეწერა 42, უცვლელი მდგომარეობით 3.

შორეული შედეგებიდან აღსანიშნავია შეტევების შეწყვეტა უმრავლეს შემთხვევაში 1-8 თვემდე, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში 1—2 წლამდე, რის შემდეგ შეტევები კვლავ იწყება მხოლოდ ნაკლები სიძლიერით. ამ შემთხვევაში ავადმყოფს ვურჩევთ გაიმეოროს კომპლექსური მკურნალობის კურსი.

ზემოთ აღნიშნული კომპლექსური მკურნალობით მიღებული დადებითი კლინიკური შედეგები გვაძლევს უფლებას წარმატებით გამოვიყენოთ იგი ბრონქიალური ასთმით დაავადებულთა მკურნალობაში.

ჰიალურონიდაზისაქტიობის დინამიკა არასპეციფიური პოლიართრიტიზის დროს, თბილისის თერმულ- გოგირდოვანი წყლის აბაზანებით მკურნალობისას

მედ. მეცნ. კან. მ. მელიქიშვილი,
ბიოლ. მეცნ. კან. თ. უგულავა,
მეცნ. მუშ. თ. კაკაბაძე

სამოძრაო ორგანოების დაავადებათა შორის ინფექციურ არასპეციფიკურ ანუ რევმატოიდულ პოლიართრიტს სახსრების დაზიანების, მათი ფუნქციის მოშლისა და მძიმე შედეგების მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს. ამ უკანასკნელწლებში მრავალ ავტორთა გამოკვლევების შედეგად ზემოდაღნიშნული დაავადების წარმოშობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემაერთებელი ქსოვილის დაზიანებას და ამიტომ რევმატოიდული ართრიტი კოლაგენური სნეულების ჯგუფშია მოთავსებული; როგორც მწვავე, ისე ქვემწვავე კოლაგენური დაავადებისათვის დამახასიათებელია ნივთიერებათა ცვლის მოშლა, რომელსაც თან სდევს სისხლში ჰიალურონიდაზის აქტიობის გაზრდა.

ავტორებმა მიზნად დაისახეს ინფექციური არასპეციფიკური პოლიართრიტით დაავადებულებში, მაქსიმალური თერაპიული ეფექტის მისაღწევად, თბილისის თერმულ-გოგირდოვანი წყლის აბაზანების ფონზე ჩატარებინათ კომპლექსური მკურნალობა და შეესწავლათ სისხლში ჰიალურონიდაზის აქტიობის დინამიკა ზემოაღნიშნული მკურნალობის გავლენით.

კლინიკური დაკვირვება ჩატარებულია არასპეციფიკური ინფექციური ართრიტით შეპყრობილ ნრ ავადმყოფზე.

მკურნალობის დაწყებამდე და მის დამთავრების შემდეგ ავადმყოფების სრული კლინიკური გამოკვლევების გარდა სისხლის შრატში ისაზღვრებოდა ჰიალურონიდაზის აქტიობა.

ავადმყოფების ერთი ჯგუფი (17) იღებდა მხოლოდ თბილისის თერმულ-გოგირდოვანი წყლის აბაზანებს, წყლის ტემპერატურა 37° აღწევდა, პროცედურა 10-15 წუთს გრძელდებოდა, მკურნალობის კურსი 15 აბაზანით განისაზღვრებოდა. აღნიშნული მინერალური წყლის აბაზანების უფრო რაციონალურად გამოყენებისა და მკურნალობის მაქსიმალური ეფექტის მიღწევის მიზნით 49 ავადმყოფის მკურნალობის კომპლექსში ჩართულ იქნა სამკურნალო ვარჯიში, მასაჟი და ზოგიერთი მედიკამენტური საშუალებანი (პრედნიზონი და ბუტადიონი).

ავადმყოფთა უმრავლესობას ექსუდაციური მოვლენების გარდა პერიარტიკულარულ ქსოვილში გამოხატული ქონდა აგრეთვე პროლიფერაციული ცვლილებები. საყრდენ — სამოძრაო ორგანოების ფუნქციური უკმარისობისა და პათოლოგიური პროცესის სიმძიმის მიხედვით ავადმყოფები პირობითად განაწილებული იყო სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედიოდა 11 ავადმყოფი, სახსრებში პათოლოგიური პროცესის შედარებით უფრო მსუბუქი მიმდინარეობით, სადაც სახსრების ფუნქციური უკმარისობა I—II ხარისხით განისაზღვრებოდა, მათ შორის ოთხ ავადმყოფს აგრეთვე გულის ორკარიანი სარქველის კომპენსიური მანკი აღმოაჩნდა.

მეორე ჯგუფში იყო 44 ავადმყოფი, პროცესი საშუალო სიმძიმით იყო გამოხატული, სახსრების დაზიანებას არ ემჩნეოდა მიდრეკილება პროგრესიულობისაკენ და საყრდენ-სამოძრაო ორგანოების ფუნქციური უკმარისობა II ხარისხს აღწევდა.

მესამე ჯგუფში შედიოდა II ავადმყოფი, რომელთაც აღენიშნებოდათ სახსრების მრავლობითი დაზიანება და პათოლოგიური პროცესი პროგრესიული ხასიათის იყო. საყრდენ-სამოძრაო აპარატის ფუნქციური მდგომარეობა მერყეობდა II—III ხარისხის დონეზე.

პერიფერიული სისხლის მხრივ 42 ავადმყოფს ერთროციტების დალექვის რეაქცია აჩქარებული ჰქონდა უფრო მეტად მარცხენაგრამით.

სამივე ჯგუფის ავადმყოფთა უმრავლესობას აღენიშნებოდა სისხლში ჰიალურონიდაზის აქტიობის მომატება. საგულისხმოა, რომ დაავადების სიმძიმისა და ჰიალურონიდაზის აქტი-

ვობის ხარისხს შორის პარალელიზმი არ აღინიშნებოდა. მკურნალობის დამთავრების შემდეგ კლინიკურად მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით გაეწერა 33, გაუმჯობესებით 32 და უცვლელი მდგომარეობით 1 ავადმყოფი; მათ შორის პირველი ჯგუფის ავადმყოფებს კლინიკური გაუმჯობესების პარალელურად სისხლში შეუმცირდა ჰიალურონიდაზის აქტიობა, ხოლო II — III ჯგუფების ავადმყოფებში ხშირად კლინიკურ გაუმჯობესებას ჰიალურონიდაზის აქტიობის გამოსწორება არ ემთხვეოდა.

ავტორების დაკვირვებით თვალსაჩინოა კომპლექსური მკურნალობის უპირატესობა მარტო აბაზანებით მკურნალობასთან შედარებით. ამავდროულად გაირკვა, რომ თერმულ-გოგირდიანი წყლის აბაზანებისა და სამკურნალო ვარჯიშის ფონზე, კარგ ეფექტს იძლევა პრედნიზონის მცირე დოზების ხმარება და არც ერთ შემთხვევაში გამწვავება ან ე. წ. „ჰორმონის მოხსნის სინდრომი“ არ აღინიშნება.

**პირველად გამოვლინებული არანამკურნალები
მწვავე და ქვემწვავე გავა-წელის რადიკულიტების
მკურნალობის ეფექტიოზა თბილისის თერმულ-
გოგირდოვანი წყლის აბაზანებით**

მედ. მეცნ. დოქტორი **ბააზოვა ს.**

მეცნ. მუშაკი **ნ. ს. თოხაძე**

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ბალნეოთერაპია წარმოადგენს მკურნალობის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას გავა-წელის რადიკულიტების ქრონიკული სტადიისა და ქვემწვავე რემისის შემდგომ ფაზის დროს. აღსანიშნავია, რომ განკურნება და მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აღინიშნება 80% დან 90%-მდე.

მწვავე და გამწვავეების სტატიაში გავა-წელის რადიკულიტების აბაზანებით მკურნალობის ჩვენების შესწავლის და რემისების ხანგრძლივობაზე ბალნეოთერაპევტიული მოქმედების მნიშვნელობის გამოკვლევის მიზნით, ავტორების მიერ ჩატარებულია დაკვირვება თბილისის თერმულ-გოგირდოვანი წყლის აბაზანებით მწვავე და ქვემწვავე პირველად გამოვლინებულ გავა-წელის რადიკულიტების მკურნალობაზე.

დაკვირვება სწარმოებდა 96 ავადმყოფზე (56 სტაციონალური და 40 ამბულატორიული), რომლებიც განირჩეოდნენ დაავადების სხვადასხვა ფორმით როგორც ეთიო-პათოგენეზის ისე პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაციისა და დაავადების ხანდაზმულობის მიხედვით.

ავადმყოფებს კლინიკური გამოკვლევისა და ხერხემლის გავა-წელის ნაწილის მენჯ-ბარძაყის სახსრების რენტგენოგრაფიის გარდა, ესინჯებოდათ მიოტონომეტრული მეთოდით კუნთთა ტონუსი, კანის ტემპერატურა და სისხლძარღვთა ტონუსი ოსცილომეტრულად, აგრეთვე ნერვ-კუნთოვანი აპარატის

ფუნქციონალური მდგომარეობის დასაზუსტებლად წელისა და ქვედა კიდურების კუნთებში მოტორული და სენზორული ქრონაქსია. ყველა გამოკვლევა წარმოებდა მკურნალობამდე და მის შემდეგ.

ყველა ავადმყოფისათვის ძირითადად დამახასიათებელი იყო სხვა და სახვა ინტენსიობით გამოხატული ტკივილის სიმპტომი, აღენიშნებოდათ აგრეთვე მკაფიოდ გამოხატული ნერვის დაჭიმვის ნიშნები (ლასეგის, მაკკევიჩის, ბენტერევის, ნერის I—II, ვასერმანის) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ავადმყოფთა უმრავლესობას აღენიშნებოდა აქილესის რეფლექსის დაქვეითება, ანდა მისი მოსპობა და მუხლის რეფლექსის დაქვეითება, აგრეთვე მგრძობელობის დაქვეითება დაზიანებული ნერვის საინერვაციო არეში.

დაკვირვების შედეგად გამოვლინებულია სხვადასხვა ხასიათის ნეიროდინამიური მოშლილობა, იქვედა კიდურებში სისხლძარღვთა ტონუსის და კანის ტემპერატურისა.

კანის ტემპერატურის მხრივ აღინიშნება ასიმეტრია, რომელიც უფრო მეტად გამოხატულია დისტალურად. მისი დაქვეითება მერყეობდა 0,6—1,5—2,0°-ით დაავადებულ ფეხზე.

ოსცილატორული ინდექსის დაქვეითება დაავადებულ ფეხზე აღინიშნება უმეტესად 20 მმ ფარგლებში და მის ქვემოთ.

ქრონაქსიმეტრული გამოკვლევების მიხედვით უმრავლეს შემთხვევებში აღინიშნება მოტორული და სენსორული ქრონაქსიის დაგრძელება, უპირატესად დაავადებულ ფეხზე. მის დისტალურ ნაწილებში აღინიშნებოდა ანტაგონისტური ჯგუფის კუნთების ქრონაქსიის გამოსწორების ტენდენცია.

ამასთან გამოვლინდა ერთგვარი კანონზომიერება კუნთთა ტონუსთან დაკავშირებით. რაც უფრო მეტადაა დაქვეითებული კუნთთა ტონუსი მით უფრო გახანგრძლივებულია ქრონაქსია და პირიქით.

ავადმყოფები ღებულობდნენ აბაზანებს ყოველდღე t° 36,5 — 37°, 20 წუთის ხანგრძლივობით, 15—20 აბაზანის რაოდენობით. 20 აბაზანის შემდეგ ტკივილის სინდრომის არსებობისას ავადმყოფებს ენიშნებოდათ ულტრაიისფერი სხივებით

დასხივება წელისა და დაავადებული საჯდომი ნერვის განწვრივ, 5—6 პროცენტურის რაოდენობით.

მკურნალობის უახლოესმა და შორეულმა შედეგებმა გვიჩვენა, რომ დარღვეული ფუნქციის აღდგენის დინამიკა მკურნალობის შედეგად გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, ტკივილის შემცირებაში ან სრულიად გაქრობაში, ხოლო შემდეგ მცირდება ან ისპობა არსებული პარავერტებრალური კონტრაქტურა, სკოლიოზი და ლასეგის სიმპტომი. ბოლოს აღინიშნება რეფლექსების გამოსწორება.

ტემპერატურის და ოსცილომეტრული ინდექსის ნორმალიზაცია აღინიშნებოდა ავადმყოფთა 79%-ში და 18%-ში კი დამატებით დანიშნული კვარცის ერთეული დოზით მკურნალობის შემდეგ.

კიდურებში ქრონაქსიმეტრიული ცვლილებების ნორმალიზაციას ადგილი ქონდა დაკვირვებაზე მყოფ ავადმყოფების ნახევარში და იგი მიმდინარეობდა კუნთთა ტონუსის პარალელურად.

ულტრაიისფერი სხივებით დამატებითი მკურნალობის დანიშვნისას ქრონაქსიმეტრული მონაცემების მხრივ რაიმე ცვლილებები არ აღინიშნებოდა.

ლუმბო-საკრალური რადიკულიტების ზემოთაღნიშნული კლინიკური ფორმების ბალნეოთერაპიით მკურნალობის ეფექტის კლინიკური შესწავლის არსი ძირითადად ორ საკითხში მდგომარეობს:

1. რამდენად არის ნაჩვენები ბალნეოთერაპია მწვავე და ქვემწვავე სტადიებში, პირველად გამოვლინებულ გავა-წელის რადიკულიტების დროს.

2. რა მნიშვნელობა აქვს ბალნეოთერაპიას გავა-წელის რადიკულიტის ფორმების დროს რემისიების გახანგრძლივებისა და დაავადების სიმპტომების შემცირებისათვის.

დაკვირვების შედეგად მიღებული ანალიზი ავტორებს საშუალებას აძლევს მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე:

1. თბილისის თერმულ გოგირდიანი აბაზანებით მწვავე და ქვემწვავე, პირველად გამოვლინებული, არა ნამკურნალევი გავა-წელის რადიკულიტის მკურნალობის დადებითი შედეგები

იძლევა იმის საშუალებას, რომ ბალნეოთერაპია რეკომენდირებული იქნას ხერხემლის როგორც შეძენილი ისე თანდაყოლილი ცვლილებების დროს.

2. სამკურნალო ეფექტი შეიძლება გაიზარდოს ულტრაიისფერი სხივებით მკურნალობისას. ბალნეოთერაპიასთან ერთად ულტრაიისფერი სხივების დანიშვნა დამოკიდებულია ტკივილის სინდრომის ინტენსიობასა და ხანგრძლივობაზე.

3. 6—8—10 თვის შორეული შედეგები მიუთითებს თერაპევტიული ეფექტის ხანგრძლივობაზე. რეციდივი აღენიშნებოდა 4 — 6 თვის შემდეგ 3 ავადმყოფს. მათ შორის 2-ს ამბულატორულს და 1-ს სტაციონალურს.

4. გამოკვლევის ობიექტური მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ბალნეოთერაპიის ეფექტიობა სხვადასხვა უნდა იყოს დაავადების სხვა და სხვა ფ-ზისა და გამოვლინების დროს, მაგრამ დაკვირვების ქვეშ მყოფი ავადმყოფების მკურნალობის შედეგები მიუთითებენ, რომ გავა-წელის რადიკულიტის დაავადების მწვავე და ქვემწვავე ფორმების დროს, რეციდივების სიხშირის შემცირებისა და საერთოდ მისი თავიდან აცილებისათვის, აგრეთვე რემისიების გახანგრძლივების მიზნით რეკომენდირებული უნდა იყოს არა ნაკლებ 20 აბაზანა.

**ცაიშის ჰიპერთერმული მინერალური წყლის (ბურღილი
№ 2) აბაზანების სამკურნალო ეფექტურობა ლუმბო-
იზიალგიების დროს**

მ/მ — ვ. ჯაპოზია.

შრომის მიზანს წარმოადგენდა ცაიშის № 2 ჰიპერთერ-
მული მინ. წყლის სამკურნალო ეფექტურობის შესწავლა
ლუმბო-იზიალგიების დროს.

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 57 ავადმყოფი ლუმბო-
საკრალური რადიკულიტით.

ყველა ავადმყოფებს გარდა სრული კლინიკური გამოკვ-
ლევისა ჩაუტარდათ ქვედა კიდურების სიმეტრიულ ადგი-
ლებზე დერმოთერმომეტრია, ქვედა კიდურების ოსცილოგრა-
ფია და წ/გავის მიღების რენტგენოგრაფია. გამოკვლევები
უტარდებოდათ მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ. ავ-
ადმყოფები საშუალოდ ღებულობდნენ 16-18 აბაზანას. t°
 38° — 37° , $10'$ — $15'$ -ის ხანგრძლიობით.

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 57 ავადმყოფი ლუმბო-
საკრალური რადიკულიტით.

ჩატარებული მკურნალობის შედეგად მნიშვნელოვანი გა-
უმჯობესება მიიღო 17-მა, გაუმჯობესება 32-მა, ცვლილება არ
მიუღია 7-ს, გამწვავება 1-მა ავადმყოფმა.

აბაზანებით მკურნალობის პირველ პერიოდში ადგილი ქონ-
და ჩვეულებრივად ხანმოკლე (2—3 დღე) ბალნეოლოგიურ
რეაქციებს, უმთავრესად ტკივილის მცირე მომატების სახით,
ერთეულ შემთხვევაში აღინიშნებოდა ორგანიზმის დამტვრე-
ულობა, საერთო სისუსტე, ფხიზელი ძილი, უმადობა, ოფლია-
ნობა, იშვიათად სხეულის ტემპერატურის მცირე მომატება.

ტკივილის დაკლებას და ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობე-
სებას ადგილი ქონდა უმთავრესად 3—6, იშვიათად მეშვიდე-
მერვე აბაზანიდან.



ინტენსიური რეაქცია „კანის გაწითლების“ ცაიშის აბაზანების მიღებისას ჩვენს მიერ ვერ იყო შემჩნეული, უმეტეს შემთხვევაში აღინიშნებოდა კანის წყლით დაფარული ზედაპირის მოვარდისფრო შეფერადება (განსაკუთრებით მეორე-მესამე აბაზანიდან) და ტანზე წვრილი ბუშტუკების უმნიშვნელო წარმოშობა.

ჩატარებულ დაკვირვების შედეგად ჩვენს მიერ გამოტანილია შემდეგი დასკვნები.

1. ცაიშის მინერალური წყლის აბაზანებით ლუმბო-საკრალური რადიკულიტის მკურნალობის შედეგად მიღებულ იქნა, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მონაცემების გაუმჯობესება.

2. კანის ტემპერატურის, ოსცილოგრაფიული ინდექსის და საშუალო და მაქსიმალური წნევის ცვლილებები მათი ნორმალიზაციისაკენ უნდა მიეწეროს ცაიშის № 2 ჰიპერთერმალურ მინერალური წყლის ვეგეტატურ ნერვულ სისტემაზე მარეგულირებელ მოქმედებას.

4. აბაზანების დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იქნას ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობა (ასაკი, გულსისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა და სხვა) აბაზანის საშუალო ტემპერატურად უნდა ჩაითვალოს 36° — 37° , $10'$ — $15'$ -ის ხანგრძლივობით, მკურნალობის კურსი საშუალოდ განისაზღვრება 17—18 აბაზანით.

5. ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე ცაიშის № 2 ჰიპერთერმული მინ. წყალი შეიძლება რეკომენდირებული იქნას პერიფერიული ნერვული სისტემის ქრონიკული დაავადებების—კერძოდ ლუმბო-იშიალგების სამკურნალოდ.

ულტრაიისფერი ერიტემა როგორც ჰიპერტონული დაავადების ეფექტიობის განმსაზღვრელი მეთოდი

მედ. მეცნ. კანდ. ე. ი. ჩილინგარიშვილი
მეცნ. მუშაკი ს. ი. იარალაშვილი

უკანასკნელი წლების გამოკვლევებით მკვლევარები (დ. გ. შეფერი, კ. ვ. ხილევსკი, გ. ლ. კანევსკი, ლ. ნიკოლავა და სხვ.) გვითითებენ, რომ ულტრაიისფერი ერიტემა შეიძლება გამოყენებული იქნეს არა მხოლოდ თერაპიული, არამედ დიაგნოსტიკური მიზნითაც, როგორც ერთ-ერთი ობიექტური კლინიკური მაჩვენებელი.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა უ. ი. ერიტემის კლინიკური ღირებულება, როგორც ჰიპერტონული დაავადების ეფექტიობის განმსაზღვრელი მეთოდი.

დაკვირვებაზე იმყოფებოდა 150 ჰიპერტონული სნეულებით დაავადებული, რომელთაგანაც 37 მკურნალობდა ნახშირმჟავა აბაზანებით, 40 ადრენალინ — ელექტროფორეზით, 73 ჰიდროაეროიონიზაციით.

უ. ი. ერიტემის (ბიოდოზა) ცდა ისაზღვრებოდა მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ, დაღველდ — გარბაჩოვის მეთოდით მუცლის არეზე ვასხივებდით 5 უჯრედს $1/2$ —4 წუთის განმავლობაში, ნათურასა და კანს შორის 35 სმ. მანძილზე.

ნორმალურ ერიტემად ვთვლიდით 5—4 ან 3 ერიტემულ ზოლს, ე. ი. როდესაც ზღურბლოვან ერიტემას ვღებულობდით $1/2$ -1-ს ან 2 წუთში.

ზღურბლოვანი ერიტემა რომელიც მიიღებოდა 3—4 წუთზე ან როდესაც სრულებით არ აშკარავდებოდა იგი (რაც ხდებოდა იშვიათად) ვთვლიდით დაქვეითებულ რეაქციად.

ფოტო ერიტემის განსაზღვრის დროს როგორც კანონი მხედველობაში ვღებულობდით ელექტრო ქსელის ძაბვას.

მკურნალობის პროცესში სისტემატურად ვრიცხავდით შემდეგ კლინიკურ მაჩვენებლებს: ავადმყოფთა სუბიექტურ სტატუსს, სისტოლურ, დიასტოლურ, საშუალო დინამიურ წნევას და თითის არტერიების წნევას.

ფოტოერთემის ამა თუ იმ ცვლილებებს უპირისპირებით მკურნალობის შედეგად მიღებულ კლინიკურ მონაცემებს.

კანის კეთილ სასურველ რეაქციად ჩვენს მიერ მიღებული იყო მკურნალობამდე დაქვეითებული ერთემის გაძლიერება და მისი მკურნალობის დადებით შედეგთან დამთხვევა. თუ კი მკურნალობამდე დაქვეითებული ერთემა ძლიერდებოდა, მაგრამ მკურნალობის შედეგები იყო უარყოფითი ან დაქვეითებული ერთემა მკურნალობის დადებითი შედეგების მიუხედავად კვლავ დაქვეითებული რჩებოდა, ასეთ შემთხვევებს ვაფასებდით როგორც კლინიკურ მონაცემებთან შეუთანხმებელ რეაქციას.

იმ შემთხვევაში, როდესაც კანის ნორმალური რეაქცია კლინიკურად გამოხატულ დადებითი შედეგების მიუხედავად განიცდიდა დაქვეითებას — ვთვლიდით კანის უარყოფით რეაქციად, ე. ი. კლინიკურ მონაცემებთან შეუთავსებელ რეაქციად, ხოლო თუ ეს ნორმალური რეაქცია მკურნალობის შემდეგ კვლავ ნორმალური რჩებოდა, ვთვლიდით კლინიკურ მონაცემებთან დამთხვეულ რეაქციად.

უარყოფითი კლინიკური მონაცემების დროს კანის ნორმალური რეაქციის უცვლელობა შეფასებული იყო ჩვენს მიერ, კლინიკურ მონაცემებთან შეუთანხმებელ რეაქციად.

დაკვირვებაზე მყოფი ავადმყოფები მკურნალობის მეთოდების მიხედვით დაყავით 3 ჯგუფად.

1 ჯგუფში შევიდა 37 ავადმყოფი, რომლებიც მკურნალობდნენ ნახშირმყავა აბაზანებით, ამათგან I სტადიის 10 ავადმყოფმა მკურნალობის შედეგად მოგვცა დადებითი კლინიკური შედეგი. (7-მა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, 3-მა გაუმჯობესება). კანის მგრძნობელობა ულტრაიისფერ ერთემაზე 9 შემთხვევაში დაემთხვა კლინიკურ შედეგებს.

II სტადიის 19 ავადმყოფიდან 15 გაეწერა დადებითი კლინიკური შედეგით (9 მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით, 6 გა-

უმჯობესებით და 4 უარყოფითი შედეგით) ულტრაიისფერი
ერითემის ცვლილებები დადებითი შედეგით გაწერილ 15 ავად-
მყოფიდან კლინიკურ შედეგს დაემთხვა II შემთხვევაში, უარ-
ყოფითი შედეგით გაწერილს 4 ავადმყოფიდან კი ყველა შემ-
თხვევაში.

II სტადიის 8 ავადმყოფიდან 2 გაეწერა გაუმჯობესებით,
6 გაუმჯობესების გარეშე. ყველა ამ 8 ავადმყოფის კანის რე-
აქცია ულტრაიისფერ ერითემაზე დაემთხვა მკურნალობით მი-
ღებულ კლინიკურ შედეგს.

ავადმყოფთა II ჯგუფი (40 კაცი) მკურნალობდა ადრენა-
ლინელექტროფარეზით. I სტადიის 12 ავადმყოფიდან 11-ი
გაეწერა დადებითი კლინიკური შედეგით (5 მნიშვნელოვანი
გაუმჯობესებით, 6 გაუმჯობესებით). ულტრაიისფერი ერითემა
აღნიშნულ 12 ავადმყოფიდან დაემთხვა კლინიკურ შედეგს
10 შემთხვევაში.

II სტადიის 19 ავადმყოფიდან დადებითი შედეგი აღე-
ნიშნებოდა 12-ს (1 მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით, 11 გაუმ-
ჯობესებით), დანარჩენი 7 გაეწერა გაუმჯობესების გარეშე.
უ. ი. ერითემის კანის რეაქცია ამ 19 ავადმყოფიდან კლინი-
კურ შედეგებს დაემთხვა 16 შემთხვევაში. ●

II სტადიის 9 ავადმყოფიდან გაუმჯობესება მიიღო 3
ავადმყოფმა (გაუმჯობესების გარეშე გაეწერა 6), აღნიშნულ
9 ავადმყოფიდან 8 ავადმყოფის ფოტოერითემის ხარისხის
ცვლილებები ემთხვეოდა კლინიკურ შედეგებს.

ავადმყოფთა მე-3 ჯგუფი მკურნალობდა ჰიდროაეროიონი-
ზაციით და აერთიანებდა 73 ავადმყოფს. ამათგან I სტადიის
10 ავადმყოფმა ყველამ მკურნალობა დადებითი შედეგით და-
ასრულა (მნიშვნელოვანი გაუმჯობესება 1, გაუმჯობესება 9).
მათი ფოტო ერითემის ცვლილებები კლინიკურ მონაცემებს
დაემთხვა 9 შემთხვევაში.

II სტადიის 50 ავადმყოფიდან (13 გაეწერა მნიშვნელო-
ვანი გაუმჯობესებით, 29 გაუმჯობესებით, 9 გაუმჯობესების
გარეშე), კანის ერითემული მგრძნობელობა კლინიკურ მონა-
ცემებს დაემთხვა 42 და არ დაემთხვა 8 შემთხვევაში.

II სტადიის 13 ავადმყოფიდან გაუმჯობესებით გაეწერა

6, გაუმჯობესების გარეშე 7 ავადმყოფი. ამათგან 8 ავადმყოფის ფოტო ერთემის ცვლილებები ემთხვეოდა მკურნალობით მიღებულ კლინიკურ შედეგს.

როგორც ირკვევა სამივე ჯგუფის (150) ავადმყოფთა კანის ერთემის რეაქციის ცვლილებები ემთხვეოდა 125 ავადმყოფის მკურნალობის შედეგს, რაც 83,4%-ს შეადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აშკარად გამოხატულ კლინიკური (მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ან უარყოფითი) შედეგის დროს მეტი სიხშირით გვხვდება კანის ერთემის ცვლილებების, მკურნალობის შედეგებთან დამთხვევა ვიდრე მას გაუმჯობესებად შეფასებულ ავადმყოფთა შორის აქვს ადგილი.

ასე მაგალითად: ფოტო ერთემის ცვლილებების მკურნალობის შედეგებთან დაუმთხვეველობა უარყოფითი შედეგით გაწერილ 40 ავადმყოფიდან აღენიშნება 5-ს და მნიშვნელოვან გაუმჯობესებით გაწერილ 36 ავადმყოფიდან 1-ს. მაშინ როდესაც კანის ფოტოერთემის ცვლილებების კლინიკურ შედეგებთან დაუმთხვეველობის 25 შემთხვევიდან 19 გაუმჯობესებით გაწერილ ავადმყოფებს ეხებოდა.

ჩვენი დაკვირვება გვაძლევს საფუძველს გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. ულტრაიისფერი ერთემის ცდა ჰიპერტონული დაავადების მკურნალობის შედეგების ერთერთ მაჩვენებელ მეთოდს წარმოადგენს. კანის რეაქციის დადებითი ცვლილებები კლინიკურ დადებით შედეგს ემთხვევა 83,4%.

2. კანის რეაქციის ცვლილებები მით უფრო მეტად ემთხვევა კლინიკურ შედეგებს, რაც უფრო მკვეთრად არის იგი გამოხატული. ე. ი. მნიშვნელოვან გაუმჯობესების და მკურნალობის უარყოფითი შედეგების დროს.

3. უ. ი. ერთემა შეიძლება რეკომენდირებული იქნეს სხვა კლინიკურ მონაცემებთან ერთად როგორც ჰიპერტონული დაავადების მკურნალობის შედეგების შეფასების დამატებითი ტესტი.

4. უ. ი. ერთემის ცვლილებების აღრიცხვა უნდა ტარდებოდეს ჩვენს მიერ მოწოდებული მეთოდით.

ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთი მაჩვენებლის დინამიკა ჰიპერტონულ დაავადების დროს გალნეოთერაპიის პირობებში

პროფ. ა. აბულაძე.

კლინიკური და ექსპერიმენტული გამოკვლევებით დადასტურებულია რომ ჰიპერტონიული დაავადების დროს ადგილი აქვს ნივთიერებათა ცვლის დარღვევას, რომელიც დაავადების დასაწყისში არ არის რელიეფურად გამოხატული, ორგანიზმის დაცვითი მექანიზმების კომპენსაციური მოქმედების გამო, ხოლო შემდგომ სტადიებში უფრო ღრმავდება და აშკარა ხდება ეს ცვლილებები.

კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიოქიმიური ლაბორატორიაში (ავტორის ხელმძღვანელობით) და აგრეთვე აფხაზეთისა და წყალტუბოს ფილიალებში მრავალი წლების მანძილზე წარმოებს საქართველოს სხვადასხვა მინერალური წყლების მოქმედების შესწავლა ნახშირწყლოვან, ცილოვან, ცხიმოვან და მინერალური ცვლის ზოგიერთ მაჩვენებელზე, ვიტამინებზე და ჟანგვა-აღდგენით პროცესებზე ჰიპერტონულ დაავადების I და II სტადიის დროს.

მიღებული შედეგებით დადასტურებულია, რომ ავადმყოფთა უმრავლესობას აღენიშნება ღვიძლის გლიკოგენური ფუნქციის თვალსაჩინო დარღვევა (მაღალი ჰიპერგლიკემიური კოეფიციენტი, გლიკემურ მრუდის აღმავალ და დაღმავალ ნაწილზე პლატო, ორრქიანი მრუდები და სხვა). პიროყურძნის მეავის რაოდენობის თვალსაჩინო მომატება თიამინის რაოდენობის ერთდროული შემცირებით.

ავადმყოფთა აბსოლუტურ უმრავლესობას აღენიშნება სისხლის შრატის საერთო ცილის მერყეობა ნორმის ფარგლებში.

ალბუმინების ფრაქცია ოდნავ დაკლებულია; α_1 — და α_2 —

გლობულინების რაოდენობა მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის. თითქმის ყველა შემთხვევაში აღინიშნება β -და γ -

— გლობულინის მნიშვნელოვანი მომატება; ნარჩენი აზოტის, შარდოვანისა და კრეატინის დონე სისხლში ფიზიოლოგიური რყევადობის საზღვრებს არ სცილდება. პოლიპეპტიდური აზოტის და კრეატინინის რაოდენობა მომატებულია. ზომიერად მომატებულია საერთო ქოლესტერინი, ხოლო ლეციტინი მერყეობს ნორმის ფარგლებში.

მინერალური ცვლიდან აღსანიშნავია ნატრიუმის თვალსაჩინო მომატება; რაც შეეხება კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, ქლორსა და მშრალ ნაშთს—ეს მონაცემები ნორმის ფარგლებს არ სცილდება.

ჟანგვა — აღდგენითი პროცესების მაჩვენებლები (გლუტათიონის ფრაქციები და ვაკატ-ჟანგბადი) მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის. ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნება ამ მაჩვენებლების დათრგუნვა, რაც გამოიხატება დაჟანგული გლუტათიონის და ვაკატჟანგბადის რაოდენობის მომატებაში.

კლინიკური და ბიოქიმიური გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ მინერალური წყლების რაციონალური გამოყენება კარგ თერაპიულ ეფექტს იძლევა ჰიპერტონიული დაავადების მკურნალობის დროს; უმჯობესდება ავადმყოფთა სუბიექტური და ობიექტური მდგომარეობა. აღინიშნება დადებითი ძვრები ნივთიერებათა ცვლაში.

არაიშვიათია შემთხვევები, როდესაც კლინიკურ გაუმჯობესებას თან არ სდევს ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზება.

დადებითი კლინიკური ეფექტი მიიღება ბალნეოპროცედურების ზუსტი დიფერენცირების შემთხვევებში (აბაზანების რაოდენობა, პროცედურების ხანგრძლიობა, წყლის ტემპერატურა და სხვა).

ულტრაიისფერი სხივების გავლენა ცილების დინამიკაზე

ბიოლოგ მეცნ. კანდ. თ. უზულავა

წინა წლებში ავტორის მიერ შესწავლილია ულტრაიისფერი სხივების როგორც ზომიერი, ისე გაძლიერებული დოზებისა და ამ სხივების სპექტრის სხვადასხვა ნაწილის მოქმედება ცილების განახლების სისწრაფეზე რადიოაქტიური მეთიონინის — S^{35} გამოყენებით. გამოირკვა, რომ ულტრაიისფერი სხივების გაძლიერებულსა და ზომიერ დოზებს სრულიად საწინააღმდეგო მოქმედება ახასიათებს. ასე მაგ., თუ ზომიერი დოზები უკვე ერთი პროცენტურის შემდეგ იძლევა ცილების განახლების სისწრაფის მომატებას თეთრი ვირთაგვების სისხლში სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში, გაძლიერებული დოზები კი პირიქით იძლევა ცილების განახლების სისწრაფის შენელებას. ასევე ამცირებს ცილების განახლების სისწრაფეს ულტრაიისფერი სხივების ე. წ. ბაქტერიოციდული ნაწილი (253,4 მმკ ტალღის სიგრძის ულტრაიისფერი სხივი). ხოლო სპექტრის უფრო გრძელ ტალღიანი ნაწილი (313, 365 და 405 მმკ იძლევა ზომიერი დოზების თითქმის მსგავს მოქმედებას. ულტრაიისფერი სხივების ბიოლოგიური მოქმედების მექანიზმის დასადგენად და აგრეთვე მის სამკურნალო მიზნით უკეთ გამოყენების თვალსაზრისით შესწავლილია სისხლის შრატისა და ღვიძლის ცილების დინამიკა.

ცდები ჩატარებულია 161 თეთრ ვირთაგვაზე 7 ძირითად სერიად. I სერიაში შეისწავლებოდა ულტრაიისფერი სხივების ზომიერი დოზების გავლენა, II სერიაში — გაძლიერებული დოზების, III სერიაში 253,4 მმკ ტალღის სიგრძის ულტრაიისფერი სხივების გავლენა, V სერიაში — 365 მმკ ტალღის სიგრძის ულტრაიისფერი სხივების მოქმედება, ხოლო VI სერიაში —

405 მმკ ტალღის სიგრძის ულტრაიისფერი სხივების გავლენა, VII სერია იყო საკონტროლო. თითოეული სერია კიდევ დაყოფილია ოთხ ქვეჯგუფად. I სერიაში შესწავლილია ამ სხივების მოქმედება I პროცედურის შემდეგ, II სერიაში 5 პროცედურის შემდეგ, III სერიაში 10 პროცედურის შემდეგ, ხოლო IV სერიაში 15 პროცედურის შემდეგ. ვირთაგვები შეუქდებოდა ყოველდღე მზარდი ბიოდოზებით. დღეში თითო პროცედურა. ყველა სერიაში შესწავლილია ცილების ფრაქციები სისხლის შრატში და ღვიძლის ჰომოგენატში ელექტროფორეზული მეთოდით. მიღებულია შემდეგი შედეგები:

1. ულტრაიისფერი სხივების ინტეგრალური ნაკადის ზომიერი დოზების გავლენით ადგილი აქვს სისხლის შრატში β — გლობულინების დონის მომატებასა და γ — გლობულინის დონის დაქვეითებას.

2. ულტრაიისფერი სხივების ინტეგრალური ნაკადის გაძლიერებული დოზების მოქმედების შედეგად კლებულობს γ — გლობულინის და მატულობს β — და α — გლობულინების დონე.

3. ულტრაიისფერი სხივების 253,4 მმკ ტალღის სიგრძის სხივების გავლენით აღინიშნება γ — გლობულინის დაქვეითება, ხოლო 313 და 405, 365 მმკ ტალღის სიგრძის ულტრაიისფერი სხივების გავლენით ადგილი აქვს γ — გლობულინის დონის დაქვეითების პარალელურად ალბუმინების მომატებას.

4. სისხლის შრატის ცილების ფრაქციების ცვალებადობის პარალელურად ხშირად იცვლება ღვიძლის ცილების შესაბამისი ფრაქცია.

5. ულტრაიისფერი სხივების ინტეგრალური ნაკადის ზომიერი დოზების გავლენით არ იცვლება სისხლის შრატის ლიპოპროტეიდები.

6. ულტრაიისფერი სხივების ინტეგრალური ნაკადის გაძლიერებული დოზების ერთი დასხივების შემდეგ მცირედად კლებულობს სისხლის შრატის β — ლიპოპროტეიდები და მატულობს γ — ლიპოპროტეიდების დონე. შემდგომი დასხივების პერიოდში კი ლიპოპროტეიდები კვლავ უბრუნდება საწყის დონეს.

7. ულტრაიისფერი სხივების როგორც ინტეგრალური ნაკადის, ისე მისი სპექტრის სხვადასხვა ნაწილების მოქმედების ეფექტი მულავნდება უკვე ერთი დასხივების შემდეგ.

8. აღნიშნული სხივების გავლენით ცილების ურთიერთ გადაადგილება მიმდინარეობს სისხლის შრატის საერთო ცილების რაოდენობის შეცვლის გარეშე.

ბალნეო ფაქტორების გავლენა ზოგიერთ ბიოქიმიურ მაჩვენებლებზე ათეროსკლეროზის დროს.

ლ. მ. ტყეშელაშვილი

ათეროსკლეროზი წარმოადგენს ზოგად დაავადებას, რომელსაც, მკვლევართა უმრავლესობის აზრით, საფუძვლად უდევს ცილოვანი და ლიპოიდური ცვლის დარღვევა.

მრავალი წლების განმავლობაში კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიოქიმიური ლაბორატორია შეისწავლიდა ბალნეოლოგიური ფაქტორების, კერძოდ: თბილისის თერმულ-გოგირდოვანი, ნახშირმჟავა და რადონული წყლის აბაზანების გავლენას ათეროსკლეროზზე როგორც კლინიკაში, ისე ექსპერიმენტულ მოდელებზე.

დაკვირვება წარმოებდა ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზით დაავადებულ ავადმყოფებზე, რომლებიც დაყოფილ იქნენ 6 ჯგუფად:

1. ჯგუფი დებულობდა თბილისის თერმულ-გოგირდოვანი წყლის აბაზანებს.

2 ჯგ. — ნახშირმჟავა წყლის აბაზანებს.

3 ჯგ. — რადონის წყლის აბაზანებს.

4 ჯგ. — იონტოფორეზს 2% ნოვოკაინით.

5 ჯგ. — რადონის აბაზანებს ნოვოკაინის იონტოფორეზთან კონპლექტში.

6 ჯგ. — თბილისის თერმულ-გოგირდოვანი წყლის აბაზანებს ვიტამინ C კომპლექტში.

ავადმყოფებს სისხლის შრატში მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ ისაზღვრებოდა ქოლესტერინის ფრაქციები, ლეციტინი და ლეციტინ-ქოლესტერინის კოეფიციენტი. ცილის ფრაქციები და ლოპოპროტეიდები ისაზღვრებოდა ელექტროფორეზული მეთოდით.

ყველა შემთხვევაში მკურნალობამდე ადგილი ჰქონდა ჰიპერქოლესტერინემიას, ლეციტინ-ქოლესტერინის ინდექსის დაკლებას; საერთო ცილა მერყეობდა ნორმის ფარგლებში. აღინიშნებოდა აგრეთვე ალბუმინის და α — ლიპოპროტეიდების რაოდენობის დაკლება და β — და α — გლობულინის და β — ლიპოპროტეიდის მომატება.

მკურნალობის შემდეგ აღინიშნებოდა საერთო ქოლესტერინის შემცირება (უმეტესად ზომიერი ჰიპერქოლესტერინემიის შემთხვევაში) თავა' უფალი ქოლესტერინის მომატება და ესტერიფიცირებული ქოლესტერინის დაკლება. მატულობდა ალბუმინის და α — ლიპოპროტეიდის რაოდენობა; β — და γ — ლიპოპროტეიდის ერთდროული β — გლობულინისა და შემცირებით.

უკეთესი შედეგი იქნა მიღებული ავადმყოფებში, რომლებიც ღებულობდნენ თბილისის თერმულ-გოგირდოვანი წყლის აბაზანებს ვიტამინ „C“ კონპლექტში.

გარდა ამისა შესწავლილ იყო თბილისის თერმულ-გოგირდოვანი წყლის აბაზანების გავლენა ექსპერიმენტულ ათეროსკლეროზზე. დაკვირვებას ვაწარმოებდით ადგილობრივი ჯიშის კურდღლებზე ორ სერიად.

I. სერია შეიცავდა ორ ჯგუფს საცდელს და საკონტროლოს. პირველი — საცდელი, ღებულობდა თბილისის თერმულ-გოგირდოვანი წყლის აბაზანების სამ კურსს (თითო კურსი 15 აბაზანა) თითო თვის ინტერვალით. მეორე — საკონტროლო — ღებულობდა მხოლოდ ქოლესტერინს 100 დღის განმავლობაში.

II სერიაც აერთიანებდა ორ ჯგუფს. საცდელი ცხოველები 100 დღის განმავლობაში ღებულობდნენ ქოლესტერინს და შემდეგ თბილისის თერმულ-გოგირდოვანი წყლის აბაზანებს (15 აბაზანას). საკონტროლო ჯგუფი-ქოლესტერინით დატვირთვის 100 დღის შემდეგ ღებულობდა მხოლოდ სტანდარტულ კვებას.

ჩატარებულ ცდებიდან ირკვევა, რომ ექსპერიმენტული ათეროსკლეროზის დროს ადგილი აქვს ლიპოიდური და ცილოვანი ცვლის მოშლას.

1. აღინიშნება ქოლესტერინის ფრაქციების მომატება. უფრო თვალსაჩინოდ არის მომატებული ქოლესტერინ-ესთერები.

2. ზომიერადაა მომატებული ლეციტინის რაოდენობა.

3. შემცირებულია ლეციტინ-ქოლესტერინის კოეფიციენტი.

4. ადგილი აქვს ალბუმინის შემცირებას და β — და γ — გლობულინის მომატებას.

5. მომატებულია β — და შემცირებულია α — ლიპოპროტეიდი. ქოლესტერინით დატვირთვის 100 დღის შემდეგ თბილისის თერმულ-გოგირდიანი წყლის აბაზანები იწვევს კურდღლის სისხლში ბიოქიმიური მაჩვენებლების შედარებით გამოსწორებას საკონტროლო შემთხვევებთან შედარებით.

ქოლესტერინით დატვირთვისთან ერთად მიღებული თბილისის — თერმულ-გოგირდოვანი წყლის აბაზანები იწვევს უფრო მეტ ჰიპერქოლესტერინემიას, ვიდრე ამას აქვს ადგილი საკონტროლო შემთხვევაში.

**უ. მ. ს. ელექტროველის უმდარებიანი მოქმედავა
(ტალლის სიგრძე 2,8 და 7,7 მ) ჰიპერტონული
სნეულეებით დაავადებულეზე და ექსპერიმენტულ
ჰიპერტონიაზე.**

საქ. აკადემიის წევრ კორ. პროფ.

ა. ბაკურაძე

პროფ. **ფარჯანაძე უ.**

მედ. მეც. კანდ. **ჯულელი მ.**

მ/თ **თავადაიშვილი ფ.**

დღემდე ნაკლებად არის შესწავლილი მცირე სიმძლავრის მქონე ულტრა მაღალი სიხშირის ელექტროველის გავლენა ორგანიზმზე.

ავტორთა უმრავლესობა სთვლის, რომ უ. მ. ს. ელექტროველის გენერატორი, რომელიც იძლევა 25 ვატზე ნაკლებ ორგანიზმის მიერ შთანთქმულ სიმძლავრეს, არ იწვევს რაიმე ბიოლოგიურ ეფექტს.

მეორეს მხრივ, ჩვენი წინასწარი დაკვირვებები მოწმობენ, რომ ულტრა — მაღალსიხშირის ელექტროველი, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე არ აღემატება 1,4 ვატს ხასიათდება განსაზღვრული ბიოლოგიური ეფექტით და იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს გულსისხლძარღვთა სისტემის მხრივ.

წინამდებარე შრომაში ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ზემოდაღნიშნული ფაქტორის გავლენა არტერიულ წნევაზე ნორმისა და ექსპერიმენტული ჰიპერტონიის დროს, ხოლო დადებითი შედეგების მიღების შემთხვევაში, ჩავვეტარებთ დაკვირვება ჰიპერტონიით დაავადებულ ავადმყოფებზე.

ზემოდაღნიშნულის მიზნით ცხოველების ერთ ჯგუფში ვიწვევდით პიტუიტრინულ (ბელოუსის წესით), ხოლო მეორე ჯგუფში ნეიროგენულ ჰიპერტონიას.

არტერიული წნევის მყარი მომატების შემდეგ ვატარებდით ცდებს უ. მ. ს. ელექტროველის (აპარატი რადმა—ტალღა 2,8 მ, სიმძ. — 1,4 ვატი) სერიულ მოქმედებას. მეორე სერიის ცდებში ვიყენებდით უ. მ. ს. ელექტროველს სტანდარტული აპარატიდან (ტალღის სიგრძე 7,7 მ, სიმძ. 50 ვატი).

ჩატარებული ზემოქმედების შედეგად აღინიშნებოდა მომატებული არტერიული წნევის საგრძნობი შემცირება, ამასთან მაქსიმალური ოპტიმალური ეფექტი ვლინდებოდა პირველი 6 პროცედურის დროს. შემდგომი პროცედურები აღარ იწვევენ დამატებით ცვლილებებს.

სპეციალურად შევისწავლეთ, აგრეთვე უ. მ. ს. ელექტროველის ჰიპოტენზიური ეფექტი მისი მოქმედებისას სხეულის სხვადასხვა უბნებზე (შუბლის არე სინო-კაროტიდული ზონა მზის წნულის პროექცია და ტერფების მიდამო). დადგენილ იქნა, რომ ყველაზე უფრო დადებითი შედეგი მიიღება ტერფების არეზე მოქმედების დროს (ამ შემთხვევაში ნაკლებად არის გამოხატული წნევის მერყეობა პროცედურის პროცესში).

ექსპერიმენტების შედეგებმა მოგვცეს უფლება გაგვეგრძელებოდა დაკვირვებები კლინიკის პირობებში ჰიპერტონული სნეულებით დაავადებულ ავადმყოფებზე.

დაკვირვების ქვეშ გვყავდა 93 ავადმყოფი, მათგან დაავადების I^ბ სტადიით 39 ავადმყოფი II^ა სტადიით 29 და II^ბ სტადიით 25 ავადმყოფი.

დაავადების სტადიისა და მკურნალობის ობიექტური შეფასების მიზნით, ავადმყოფებს გარდა სრული კლინიკური გამოკვლევისა, უტარდებოდათ არტერიული წნევის სისტემატური (დღეში ორჯერ) გაზომვა, ვსაზღვრავდით ვენურ წნევას, სისხლის ნაკადის სისწრაფეს, არტერიულ ოსცილომეტრას, ეკგ-ს. სისხლში ისაზღვრებოდა საერთო ქოლესტერინის რაოდენობა და შრატის ცილების ფრაქციები (ელექტროფორეზული მეთოდით).

დაკვირვებები ტარდებოდა, როგორც სტაციონარის, ასევე ამბულატორულ პირობებში.

ავადმყოფთა ერთ ჯგუფს მკურნალობა უტარდებოდა უ. მ. ს. ელექტროველით აპარატ რადმადან (ტალღა 2,8 მ, სიმძ. 1,4 ვატი), მეორე ჯგუფი კი იღებდა პროცედურებს სტანდარტული აპარატიდან (ტალღა 7,7 მ, სიმძ. 50 ვტ).

პროცედურის პროცესში არტერიული წნევის მერყეობის თავიდან აცილების მიზნით, ელექტროდებს ყველა შემთხვევაში ვათავსებდით ტერფების მიდამოზე. მკურნალობის კურსი ისაზღვრებოდა 6 პროცედურით.

ჩატარებული დაკვირვებების შედეგად მივედით შემდეგ დასკვნამდე:

1. უ. მ. ს. ელექტროველით, როგორც სტანდარტული (ტალღა 7,7 მ სიმძ. 50 ვტ), ასევე აპარატი რადმადან (ტალღა 2,8 მ 1,4 ვტ) ხასიათდება ჰიპოტენზიური ეფექტით.

2. აღნიშნული ფაქტორები^ა ჰიპერტონული დაავადების მკურნალობის ეფექტი დამოკიდებულია დაავადების სტადიაზე. ყვეთესი შედეგები მიიღება უფრო ნაადრევ სტადიებში (I და II^ა).

3. იმ შემთხვევაში, სადაც ჰიპერტონულ დაავადებას II^ბ სტადიაში თან ახლავს დაავადება, ნაჩვენები უ. მ. ს. ელექტროველით მკურნალობისათვის, აღნიშნული ფაქტორის გამოყენება არ უნდა ჩაითვალოს წინააღმდეგ ჩვენებად.

4. ჩვენს მიერ გამოყენებული სტანდარტული და აპარატ რადმას მიერ გენერირებული ელექტროველის ეფექტთა შორის სისხლის არტერიული წნევის მიმართ რაიმე განსაკუთრებული სხვაობა არ აღინიშნება.

საჭმლის მომწოდებელ ორგანოთა მოტორული აქტიუბის რეპისტრაციის და ინტეგრაციის მეთოდის მავთულის ტენზოელემენტის გამოყენებით

მედიც. მეცნ. კანდ. ზ. კობახიძე.

რადიოელექტრონიკის სწრაფ განვითარებამ და მისი მიღწევების დანერგვამ მედიცინაში დიდი გარდატეხა მოახდინა.

ელექტრონიკის პრინციპებზე დამყარებული ახალი მეთოდების გამოყენებამ ხელი შეუწყო უკვე ცნობილი მოვლენების დაზუსტებას და ორგანიზმის რიგი შეუსწავლელი კანონზომიერებათა დადგენას.

აღნიშნული მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი გახდა ორგანიზმის ურთულესი მოტორული რეაქციების შესწავლა.

როგორც ცნობილია ორგანოთა და სისტემათა სამოძრაო რეაქციები დაკავშირებულია დეფორმაციის მოვლენებთან. მეცნიერები საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ შეემუშავებიათ დეფორმაციის ზუსტი გაზომვის მეთოდი, მაგრამ მხოლოდ უკანასკნელ ხანებში, რადიოელექტრონული მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი გახდა ამის მიღწევა.

სხვადასხვა დეფორმაციების ზუსტ შესწავლას ხელი შეუწყო, უმთავრესად, ცვლადი წინააღმდეგობის მქონე მავთულის ტენზოელემენტების გამოყენებამ.

უკანასკნელ ხანებში არის ცდა ტენზოელემენტების გამოყენებისა საჭმლის მომწოდებელი ტრაქტის მოტორული აქტივობის შესასწავლად.

გამომდინარე ლიტერატურული მონაცემებიდან და ზოგიერთი ჩვენი დაკვირვებიდან ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ზემოდაღნიშნული ფუნქციის შესწავლისათვის, ყველაზე უფ-

რო მიზანშეწონილია მავთულის ტენზოელემენტების გამოყენება, რაც უნდა აიხსნას მისი უნივერსალობით, სტაბილობით, მიმართული მგრძნობელობით და ხაზოვნებით.

მეთოდოლოგია, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ, მდგომარეობს შემდეგში: შესასწავლ ორგანოზე გარედან მაგრდება მავთულის ტენზოელემენტი, რომლის დამაკავშირებელი მავთულებიც გამოდიან სხეულის ზედაპირზე სპეციალური კანიულის საშუალებით. აღნიშნული ტენზოელემენტები უერთდება გამაძლიერებელს, რომელიც დამუშავებულია ჩვენს ლაბორატორიაში კონსტრუქტორ კოგუტოვთან ერთად. გამაძლიერებლის გამოსავალი გათვალისწინებულია მაგნიტოელექტრულ თვითმწერ (დამუშავებულია, აგრეთვე ჩვენს ლაბორატორიაში) და ისრიან ხელსაწყოზე, აგრეთვე ოსცილოგრაფის შლეიფზე.

მოტორული აქტივობის განსაზღვრისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიღებული მრუდების სწორ შეფასებას. ჩაწერის ჩვეულებრივი მეთოდებით სარგებლობისას (მექანიკური) საერთო მუშაობის ინტეგრაცია ძალიან ძნელია. ელექტროგრაფული მეთოდების გამოყენება საგრძნობლად აადვილებს აღნიშნული საკითხის გადაჭრას.

მრუდების ინტეგრაციის მიზნით ჩვენს მიერ შემუშავებულია სპეციალური ინტეგრატორი, რომელიც საკმაოდ სტაბილურად და ხაზოვანად მუშაობს.

ინტეგრაციის მონაცემების (პირობით ერთეულებში) რეგისტრაცია ხდება ელექტრომაგნიტური აღმრიცხველის საშუალებით და ამასთან ერთდროულად აღინიშნება კიმოგრამაზე.

გამაძლიერებელი და ინტეგრატორი კონსტრუქტიულად შესრულებულია ერთ ბლოკში, რომელშიაც მოთავსებულია ოთხი დამოუკიდებელი არხი. ამრიგად ჩვენ გვაქვს საშუალება ერთდროულად ვაწარმოოთ ოთხი სხვადასხვა პროცესის რეგისტრაცია. მთელი დანადგარი იკვებება ქალაქის ცვლადი დენით.

ჩვენს მიერ მოწოდებული, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მოტორული აქტივობის რეგისტრაციის და ინტეგრაციის მეთოდოლოგია იძლევა, ერთის მხრივ, სხვადასხვა ორგანოთა მოტორული ფუნქციის ერთდროული რეგისტრაციის, ხოლო მეორის მხრივ საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ძნელად მისად-

ვომი ორგანოების მოტორული მოქმედების შესწავლის საშუა-
ლებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ დროს არ ირღვევა შე-
სასწავლ ორგანოთა მთლიანობა — ტოპოგრაფია, აგრეთვე გა-
მორიცხებულია ორგანოთა მექანორეცეპტორების გაღიზიანება.
და საშუალება გვეძლევა მოვახდინოთ საერთო მუშაობის ინ-
ტეგრირება.

ტენზოელემენტი შეიძლება აგრეთვე დამაგრებელი იქნას
სადრენაეო მილზე, რაც უზრუნველყოფს საჭმლის მომნელებ-
ელი ორგანოების სეკრეციული და მოტორული ფუნქციის
ერთდროულ შესწავლას.

კუჭის სეკრეტორულ ფუნქციაზე მინერალური წყლის „ვარძია“-ს მოქმედების მექანიზაციისათვის

მედ. მეცნ. კანდიდატი **რობაქიძე ა. ლ.**

რამოდენიმე წლის განმავლობაში ავტორი იკვლევდა მინერალური წყლის „ვარძია“-ს გავლენას კუჭის ევაკუაციურ, მოტორულ და სეკრეტორულ ფუნქციაზე. მიმდინარე წელში კი შესწავლილი იყო აღნიშნული მინერალური წყლის კუჭის სეკრეტიაზე მოქმედების მექანიზმის ზოგიერთი საკითხი. ექსპერიმენტული დაკვირვება წარმოებდა 5 ძალზე, რომლებსაც გაკეთებული ჰქონდათ იზოლირებული პატარა კუჭი პავლოვის მეთოდით, ბასოვის ფისტულა და თორმეტგოჯა ნაწლავის ფისტულა.

შრომის მიზანს შეადგენდა მინერალური წყლის „ვარძია“-ს მოქმედების მექანიზმის შესწავლა კუჭის სეკრეტორულ ფუნქციაზე ფარმაკოლოგიური საშუალებათა (ატროპინი, ერგოტამინი, პისტამინი, ასევე გამომშრალი კომბოსტოს ნახარში და 15% — სპირტი) და ოპერაციული მეთოდის გამოყენებით (ცდომილი და შიგნეულების ნერვების გადაჭრა).

კვებით გამაღიზიანებლებზე (პური, ხორცი, რძე) კუჭის სეკრეტორული ფონის დადგენის შემდეგ, მინერალურ წყალს „ვარძიას“ ვაძლევდით საკვების გარეშე, საკვებთან ერთად ან საკვების მიღებამდე 60 წუთით ადრე.

მიღებული შედეგები შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მინერალური წყალი „ვარძია“ საკვებთან ერთად მიღებული აძლიერებს კუჭის სეკრეტციას და კუჭის წველის მჟავეობას; ხოლო საკვების მიღებამდე ერთი საათით ადრე მიცემისას კი იგი უმნიშვნელოდ აქვეითებს კუჭის წველის გამოყოფას და მის სიმჟავეობას.

იმის გამო, რომ მინერალური წყალი „ვარძია“ მიღებული ერთი საათით ადრე პურის, ხორცის და რძის მიღებამდე არ

ავლინებს მკაფიოდ გამოხატულ შემაკავებელ მოქმედებას კუჭის სეკრეციაზე, ავტორმა გამოიყენა კუჭის წვენდამდენი სხვა საშუალებანი: ჰისტამინი (0,4 მგ), გამომშრალი კომბოსტოს ნახარში (200 მლ) და 15%-ნი სპირტი (150 მლ). თუ მინერალური წყლის 45—60 წუთის მიცემის შემდეგ შევიყვანთ აღნიშნულ საშუალებებს, მაშინ მინერალური წყალი „ვარძია“ იჩენს სუსტ შემაკავებელ ეფექტს კუჭის სეკრეციულ ფუნქციაზე.

აღნიშნული ფაქტის დადგენის შემდეგ ავტორმა შეისწავლა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ზოგიერთი რეცეპტორული ველის მონაწილეობა კუჭის სეკრეციაში მინერალური წყლის მოქმედებისას. ამ მიზნით მინერალური წყალი შეჰყავდა უშუალოდ თორმეტგოჯა ნაწლავში და სწორი ნაწლავიდან. აღმოჩნდა, რომ თორმეტგოჯა ნაწლავში მინერალური წყლის შეყვანისა და ერთდროულად საკვების მიცემისას ძლიერდება კუჭის სეკრეციული მოქმედება და მისი მჟავეობა. თუ მინერალური წყალი შეჰყავდა ერთი საათით ადრე თორმეტგოჯა ნაწლავში, საჭმელის მიღებამდე, მაშინ კუჭის წვენი გამოიყოფა იგივე რაოდენობით, რაც მარტო საკვების მიცემისას მიიღებოდა.

მინერალური წყალი „ვარძია“ შეყვანილი სწორი ნაწლავიდან და იმავე დროს საკვების მიცემა იწვევს კუჭის სეკრეციის გაძლიერებას, მაგრამ გაძლიერების ხარისხი სუსტია, უშუალოდ კუჭში შეყვანილთან შედარებით. ერთი საათით ადრე სწორ ნაწლავში მინერალური წყლის შეყვანა და შემდეგ საკვების, მიცემა კუჭის სეკრეციას და მის მჟავეობას არ ცვლის.

ატროპინის მოქმედების ფონზე და ვაგოტომიის შემდეგ მინერალური წყალი „ვარძია“ თავისთავად აღარ იწვევს კუჭის სეკრეციის აღძვრას. ერგოტამინის შეყვანა და სპლანხნიკოტომია არსებით ცვლილებებს არ იწვევს კუჭის სეკრეციაში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კუჭის წვენის საერთო რაოდენობის უმნიშვნელო შემცირებას.

მიღებული შედეგების საფუძველზე ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ მინერალური წყლის „ვარძია“-ს მოქმედება კუჭის სეკრეციულ ფუნქციაზე ძირითადად პარასიმპათიკური ნერვული სისტემით ხორციელდება;

რადონისა და მისი დაშლის პროდუქტების განსაზღვრა კუჭის წვენი და ამონასუნთქ ჰაერში რადონული წყლის შინაგანი მიღების დროს“.

მ/მ — ვ. გაბლოვა და ვ. ჯერაჟილი

ჩვენს მიერ წინა გამოკვლევაში დადგენილი იქნა ხელოვნურად გაკეთებული რადონული წყლის გავლენა, მისი შინაგანი მიღების დროს, კუჭის სეკრეტულ და მოტორულ-ევაკუატორულ მოქმედებაზე.

აღნიშნული მოქმედების მექანიზმის დადგენის მიზნით ჩვენ საჭიროდ ვცანით განგვესაზღვრა რადონის კონცენტრაცია კუჭის წვენი და ამონასუნთქ ჰაერში.

ცდები ჩატარებული იყო 2 ძალზე, რომელთაც ქონდა გაკეთებული იზოლირებული პატარა კუჭი პავლოვის წესით, დიდი კუჭის ფისულა ბასოვის წესით, ხოლო ერთ ძალს ქონდა დამატებით 12 გოჯა ნაწლავის ქრონიკული ფისტულა.

რადონული წყალი ცხოველებს ეძლეოდათ სპეციალური ზონდით, 150 მილიონის რაოდენობით, რადონის კონცენტრაცია — 1.000 და 4.000 ერ. მახე. წყლის ტემპერატურა 18°, წყალს ცხოველებს ვაძლევდით საჭმელთან ერთდროულად.

კუჭის წვენის მოგროვება ხდებოდა სპეციალურ ჭურჭელში, რადგანაც რადონის აორთქლება თითქმის არ ხდებოდა.

კუჭის წვენი რადონის განსაზღვრა სწარმოებდა ვაკუმური მეთოდით, როგორც ელექტრომეტრი CF-1 M საშუალებით, ასევე „B“ დანადგარით.

ამონასუნთქს ჰაერში რადონის განსაზღვრა ხდებოდა მარტო ვაკუმური წესით. სინჯებს ვიღებდით 5 — 10—20—40—70 და 90 წესით შემდეგ რადონულ წყლის მიღებიდან. გარდა ამისა ხდებოდა ინტეგრალური შთანთქმითი დოზის გამოთვლა რადებში.

დაკვირვება გვიჩვენებს:

1. რადონული წყლის შინაგანი მიღების დროს ადგილი აქვს რადონის შეღწევას ორგანიზმის შინაგან არეში. იგი ჩნდება ამონასუნთქ ჰაერში, ასევე კუჭის წვენში.

2. რადონის გამოყოფის სიჩქარე მცირდება დროსთან დაკავშირებით და გრძელდება 1,5—2 საათის განმავლობაში.

ამასთან ყველაზე უფრო ინტენსიურად რადონის გამოყოფა ხდება პირველ 30—40 წუთის განმავლობაში.

3. რადონის კონცენტრაცია კუჭის წვენში დაახლოვებით შეადგენს რადონული წყლის კონცენტრაციის 3,5%

4. რადონის კონცენტრაცია ამონასუნთქ ჰაერში პირდაპირ პროპორციულია მიღებულ წყალში არსებული რადონის კონცენტრაციისა.

5. 1000 ე. მ.-ის მქონე კონცენტრაციის წყლის მიღებისას 150 მლ—რაოდენობით ინტეგრადული შთანთქმითი დოზა უდრის დაახლოვებით 214 ერგს. რაც საშუალოდ ორგანიზმზე იძლევა შთანთქმის დოზას 1. 1. 10 რად.

ДЕЯТЕЛЬНОСТЬ Н/И ИНСТИТУТА КУРОРТОЛОГИИ И ФИЗИОТЕРАПИИ К 40 ЛЕТИЮ УСТАНОВЛЕНИЯ СОВЕТСКОЙ ВЛАСТИ В ГРУЗИИ

Директор Н/И института Курортологии и Физиологии
Минздрава Грузинской ССР
Проф. **ГОГИБЕДАШВИЛИ В. Г.**

40 летие установления советской власти в Грузии, Научно-исследовательский институт Курортологии и физиотерапии встречает с определенными достижениями:

1) Институт со дня его основания, т. е. с 1921 года 13/10 по сей день прошел славный путь своей деятельности. В результате неуклонной заботы Коммунистической партии и советского правительства за этот период из маленькой физиотерапевтической лечебницы превратился в мощный, многопрофильный научно-исследовательский институт с двумя мощными филиалами в Сухуми и Цхалтубо, оснащенные по последнему слову техники, многочисленными лабораториями. Здесь сосредоточены помимо высококвалифицированных врачей, высококвалифицированными специалистами других отраслей (гидрогеологи, гидрохимии, физики, климатологи и другие).

Основной задачей института является: изыскание, изучение и научное использование богатейших курортных и преформированных физических факторов, а также вскрытия механизма их действия.

2) В жизни института произошли большие сдвиги после исторического решения Всесоюзного Центрального Комитета Коммунистической партии от 31 декабря

1931 года, которая касалась развитию курортного дела в стране.

В соответствии с указанным постановлением в Грузии широко развернулись работы по гидрогеологическому изысканию и широкому всестороннему изучению курортных факторов. Объектами изучения были: Цхалтубо, Боржоми, Менджи, Джава, Насакирали, Зваре, Тбилиси и многие другие.

В результате чего развернулось строительство курортов: Боржоми, Цхалтубо, Абастумани, Гагра; появились новые курорты: Джава, Менджи, Шови-Уцера, Ткварчели, Тбилиси и др.

В результате многолетнего гидрогеологического и гидрохимического изучения богатейших гидроминеральных ресурсов нашей республики дебит всех минеральных вод от 10.000.000 1921 г. на сегодняшний день возрос до 100.000.000 литров в сутки.

3) В годы Великой Отечественной войны научно-исследовательская работа института была временно прервана, на базе института был организован эвако-госпиталь с физиотерапевтическим уклоном, который проводил весьма полезную работу в деле выздоровления бойцов.

После победоносного завершения Отечественной войны институт возобновляет свою работу более планомерно и значительно в широких масштабах.

4) В результате планомерной и плодотворной научно-исследовательской работы институт, совместно со своими филиалами, развил в Грузии сравнительно молодую науку курортологию и физиотерапию, которая уже встала среди других передовых отраслей медицинской науки. На сегодняшний день мы имеем показания и противопоказания всех наших курортов на основании научных обоснований как естественных так и преформированных физических факторов.

5) Институт Курортологии и физиотерапии представ-

ляет базу, для подготовки медицинских работников по курортологии и физиотерапии. Здесь постоянно повышают свою квалификацию медицинские работники из наших курортов, что осуществляется путем ординатуры, аспирантуры, предоставлением рабочих мест, а также повышение квалификации без отрыва от производства (с выездом наших специалистов на местах). Здесь же имеются базы медицинского института и института Усовершенствования врачей.

